



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ML1801CL ჯგუფის სტუდენტის

ნინო ლეკიაშვილის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“

ხელმძღვანელი:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სისხლის სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,  
სამართლის დოქტორი სერგო ჭელიძე

(ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად)

თბილისი

2020

## ანოტაცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია ქართული სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. მას ვიცნობთ, როგორც უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფციას. სახელმწიფოს თითოეული წარმომადგენელი და ოფიციალური პირი ვალდებულია დაიცვას იგი, პატივი სცეს მას და მოზომილად, ფრთხილად შერჩეული სიტყვებით საუბრობდეს სხვათა სავარაუდო ბრალეულობაზე.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა სავალდებულოა მედიისათვისაც, მაგრამ სახელმწიფო ვერ იქნება პასუხისმგებელი მის ქმედებებზე, ვერ გააკონტროლებს თითოეულ სიუჟეტსა თუ სტატიას, რადგან ეს იქნება ჩარევა დამოუკიდებელი მედიის სარედაქციო პოლიტიკაში. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოდ ნებისმიერი საჯარო მოხელის ნებისმიერი საჯარო განცხადება ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს. სწორედ ამიტომ, არსებობს სისხლისსამართლებრივი სანქციები, რომელიც დაეკისრება ნებისმიერ პირს, ვინც დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. და თუ სახელმწიფო არ მოიმოქმედებს რაიმეს, არსებობს დაცვის არაერთი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც მეტად ეფექტურია.

ერთ-ერთი ასეთი ჩვენთვის კარგად ნაცნობი მექანიზმია ევროპული სასამართლო, რომელიც მდებარეობს სტრსბურგში და იცავს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოსახლეობას საკუთარი ან ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციის სხვა ხელმომწერი სახელმწიფოებისაგან.

ნშრომი წარმოდგენილია 83 A4 ფორმატის ნაბეჭდი გვერით. შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წყველა წესის დაცვითა და კვლევითი მიზნებისათვის.

## **Annotation**

The presumption of innocence is one of the main principles of the Georgian criminal process. We know it as: the presumption of innocence and freedom. Each representative and official of the State is obliged to protect it, to respect it, and to speak with measured, carefully selected words about the alleged guilt of others. Defending the presumption of innocence is mandatory for the media as well, but the state cannot be responsible for the actions of the media and cannot control every story or stature, as it will interfere with the independent media's editorial policy... That is why there are criminal sanctions imposed on any person for violating the presumption of innocence, and if the state does not do something, there are several international protection mechanisms that work very effectively and always stand by the oppressed. One such well-known mechanism is the European Court of Justice in Strasbourg, which protects the people of the Contracting States from other signatories to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms.

The document is written in 83 A4 formats. A master's thesis has been compiled under the rules and for research purposes.

## სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	3
სარჩევი	4
შესავალი	6
თავი I უდანაშაულობის პრეზუმფციის ზოგადი მიმოხილვა	12
თავი II. უდანაშაულობის პრეზუმფციის განვითარების ისტორია	18
1. რომის სამართალი.	18
2. ისლამური სამართალი.	19
3. თალმუდის მოძღვრება.	20
4. დასავლეთ ევროპა.	20
5. აღმოსავლეთ ევროპა.	22
თავი III. უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება	22
1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.	25
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.	27
3. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.	30
თავი IV. უდანაშაულობის პრეზუმფცია სხვადასხვა ქვეყნების შიდა საკანონმდებლო აქტებში	31
1. ამერიკის შეერთებული შტატები	31
2. დიდი ბრიტანეთი	33
3. საფრანგეთი	35
4. კანადა	35
5. რუსეთი	36
6. ირანი	37

7. იტალია _____	38
8. სამხრეთ აფრიკა _____	38
<b>თავი V. უდანაშაულობის პრეზუმფციის რეალიზება ქართულ სისხლის სამართლის საროცესო კანონმდებლობაში _____</b>	<b>41</b>
1. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი _____	41
2. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მნიშვნელობა _____	43
3. დაუშვებელი და პრეიუდიციული მტკიცებულებები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში _____	44
4. მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთგაცვლის კრიტერიუმები _____	47
5. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა _____	48
6. თავისუფლების უფლების რეალიზება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში _____	50
7. ბრალდებულისა და ადვოკატის როლი პროცესის მსვლელობისას _____	56
<b>თავი VI. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომენტარები უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე _____</b>	<b>58</b>
<b>დასკვნა _____</b>	<b>66</b>
<b>ბიბლიოგრაფია _____</b>	<b>68</b>
1. ნორმატიული მასალა _____	68
2. სასამართლო პრაქტიკა _____	69
3. გამოყენებული ლიტერატურა _____	70
4. ინტერნეტ რესურსი _____	74

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** რატომ ავირჩიე ეს თემა საკვლევად? ამ კითხვაზე პასუხი მეტად მარტივია - უდანაშაულობის პრეზუმფცია არის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ პრინციპებთან, როგორცაა, მაგალითად: კანონისა და სამართლის უზენაესობის, სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, მტკიცებულებათა უშუალო და ზეპირი გამოკვლევის პრინციპი.

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი და მისი რეალიზების პრობლემები მართლაც რომ იმსაურებს ღრმა და სისტემურ გამოკვლევას. თემის გარშემო ცოდნის გაღრმავებით კი შევძლებ ჩავწვდე სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის უფლებათა დაცვის მექანიზმების გამოყენების რეალურ შესაძლებლობებს. მოგეხსენებათ, ადამიანის და მისი უფლებების დასაცავადაც ერთიანდება მთელი ცივილიზებული სამყარო და თითოეული ინდივიდის ნებისმიერი უფლების დაცვა არც თუ ისე იშვიათად იძენს მასშტაბურ სახესაც კი.

აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული არაერთი საქმე, გამოვლენილი არაერთი დარღვევა სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას, არაერთხელ აღდგენილი სამართლიანობა და გადარჩენილი არაერთი სიცოცხლე.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ხომ ის საწყისი და ფუნდამენტია, რომელსაც ემყარება არა მარტო მთელი სისხლის სამართლის პროცესი, არამედ

დემოკრატიულობის პრინციპიც. ვერ იარსებებს დემოკრატია იმ საწყისების გარეშე, რომელიც სამართლიანობას და ჰუმანურობას ქადაგებს.

ისმის კითხვა: როგორ არის დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესის სხვა ძირითად პრინციპებთან? ამაზე ძალიან მარტივია პასუხის გაცემა.

მოდით წარმოვიდგინოთ სამყარო, სადაც კანონი და სამართალი არ არის, სადაც უდანაშაულოს ციხეში ამწყვდევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვინმეს ინტერესებშია. კიდევ უარესი, წარმოვიდგინოთ სამყარო, სადაც სისხლის სამართლის პროცესი არის ფორმალური, ინკვიზიციური და ბრალდებულს არ გააჩნია არანაირი საშუალება ეფექტური და კვალიფიციური დაცვის განხორციელებისა, სადაც ბრალმდებელი არის მოსამართლედ და მსაჯულიც.

წარმოვიდგინოთ სამყარო, სადაც სისხლის სამართლის პროცესები ტარდება დახურულ კარს მიღმა, საიდუმლოდ და მხოლოდ ღმერთმა უწყის, იქ, შიგნით რა ხდება. ამ ყველაფრის წარმოდგენის შემდეგ არც იმის წარმოდგენა არ უნდა გაგვიჭირდეს, თუ რაოდენ სასტიკი იქნება სამყარო, სადაც მოსამართლე და სასამართლო შეიძლება რომ იყოს მიკერძოებული და ერთი ადამიანის ინტერესებმა და შესაძლებლობებმა გადაწყვიტოს მეორე ადამიანის ბედი და მომავალი.

არც თუ ისე ძნელი წარმოსადგენია ალბათ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის დადანაშაულება ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. წარმოვიდგინოთ სამყარო, სადაც სისხლისსამართლებრივ დევნას პროკურორი იწყებს არა საჯარო ინტერებიდან გამომდინარე ან წყვეტს მას, არამედ თავისი ან სხვა ვინმეს პირადი ინტერესების გამო.

და რას ვიზამთ, თუ წაგვიყენეს ბრალი ამ ჩვენს წარმოდგენილ სამყაროში ისე, რომ არ არსებობს არც დასაბუთებული ვარაუდები და არც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი ჩვენს ბრალეულობაზე? ან და თუ მოეწონება ვინმეს, რომ განმეორებით

იქნას დაკავებული ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე ან წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე მსჯავრდადებული იყო?

და მაინც თუ გიჩნდებათ კითხვა იმის შესახებ, რა როლს ასრულებს უდანაშაულობის პრეზუმფციის რეალიზება ამ ყველაფრისაგან თავის დაცვაში? პასუხის გაცემა მარტივია - უდანაშაულობის პრეზუმფცია არის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ვერ ჩაითვლება დამნაშავედ მანამ, სანამ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაადგენს ამას.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ხომ სისხლის სამართლის პროცესის ის უძველესი პრინციპია, რომელიც მიჩნეულია დემოკრატიის საწყისად. იგი გვხვდება არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში, კონვენციასა და აქტში. ყველაზე უკეთი იგი ვლინდება გაერო-ს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლებში.

იგი ასევე ჩაწერილია არაერთი ქვეყნის კონსტიტუციასა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, ისევე, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლში.

აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში იგი განმარტებულია ძალიან უბრალო და ყველასათვის გასაგებ ენაზე. ყველგან ჩადებულია ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არის უფლება თითოეული ადამიანისა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა და მიჩნეულ უნდა იყოს აუცილებად უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.



დანაშაულის ჩადენის დამტკიცება და მტკიცების სრული ტვირთი კი მთლიანად ეკისრება ბრალდების მხარეს - პროკურორს ან ნებისმიერ სხვა პირს, ვინც განახორციელებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ დელეგირებულ უფლებამოსლებას ბრალმდებლად გამოსვლის თაობაზე სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას.<sup>1</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ქვაკუთხედს, ბუნებითი სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ წესს. მას შეხვდებით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ადრეულ დოკუმენტებშიც, ისეთებში, როგორც არის, მაგალითად, 1789 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ: ბრალდებულს უფლება აქვს, მიჩნეულ იქნეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დადასტურდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული პროცესის შედეგად.

ეს უფლება არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ადამიანის პატიმრობაში აყვანა სასამართლო პროცესის დაწყებამდე - დაკავების შემდეგ მისი პატიმრობაში გაჩერება კანონიერია ადამიანის უფლებათა კონვენციების თანახმად, თუმცა უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს<sup>2</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმფცია უმთავრესად არის საპროცესო გარანტია - მოსამართლეებმა სასამართლო გარჩევა რომ დაიწყონ ღია გონებით და არ დასდონ წინასწარი განწყობით ბრალი ეჭვიტანილს, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპამდე, რასაც საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ჰქვია.

---

<sup>1</sup> UDHR, მუხ. 11(1), მუხ. 14(2); ECHR, მუხ. 6(2); ACHR, მუხლი 8(2); ACHPR, მუხლი 7(1)(b); CIS – მუხლი 6(2); AL – მუხ. 66;

<sup>2</sup> 1789 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ, მუხ. 15;

უდანაშაულობის პრეზუმფციის არსს ყველაზე უკეთ გადმოგვცემს გაერო-ს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლი, სადაც პირდაპირ და გარკვევით არის ნათქვამი, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის გავლენით, მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს - პროკურორს სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობის პროცესში, მსაჯული კი უნდა იყოს ან მოსამართლე ან/და ნაფიცი მსაჯულები.

ბრალდების მხარის ვალდებულება არის ბრალდებულის ბრალეულობის დამტკიცება, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ ბრალდებულმა მართლაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანშაული, ხოლო გონივრული ეჭვის არარსებობა გამოიწვევს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და საქმის დახურვას. გონივრული ეჭვი ქართული სტანდარტებით კი შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო სტანდარტი<sup>3</sup>. გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დამტკიცდეს პირის ბრალეულობა კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში. სხვა შემთხვევაში ბრალდებული უნდა გამართლდეს.

**კვლევის მიზანია:** უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებების ანალიზი, როგორც მათი კრიტიკა, ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა. აგრეთვე ნაშრომის მიზანია უდანაშაულობის პრეზუმფციის ჩვენება მკითხველისათვის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება და სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის ერთობა. ასევე თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების თავმოყრა, მათი შეპირისპირება და სწორი დასკვნების გამოტანა.

---

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 33.

**კვლევის საგანი:** აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემების შესწავლა და გამოვლენა ქართული შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე.

**კვლევის მეთოდები.** ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული მაქვს შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები. უდანაშაულობის პრეზუმფციის რეალიზების შესაძლებლობების კვლევის მიზნით, ავირჩიე სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების, წიგნებისა და ინტერნეტ მასალის, ასევე საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობების შესწავლის გზა. რათა შევძლო და წრმოვაჩინო მთლიანი სურათი.

## თავი I უდანაშაულობის პრეზუმფციის ზოგადი მიმოხილვა

უდანაშაულობის პრეზუმფცია არის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი. იგი იცავს ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კი შეიძლება ბრალი დაედოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და თითოეულ მათგანს აცხადებს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად სასამართლო პროცესზე, რომლის მსვლელობის პერიოდშიც ბრალდებულის კვალიფიციური სამართლებრივი დაცვა იქნება უზრუნველყოფილი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს გამოძიების წარმოებისა და სასამართლოწარმოების ეტაპები. გამოძიების ეტაპებია: გამოძიების დაწყება, პირის ბრალდებულად ცნობა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და ბრალდებულის დაკავება<sup>4</sup>. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გამოძიების დაწყება, რა დროსაც დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება. გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. როგორც უკვე ავლნიშნეთ, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს მიაწოდეს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარი ფორმით.

მართალია, გამომძიებელი უფლებამოსილია, დანაშაულის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს გამოძიება, მაგრამ დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური

---

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 499.

შეტყობინების საფუძველზე. გამოძიება გრძელდება გონივრული ვადის ფარგლებში, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ვადას, რომელიც შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არის დადგენილი, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს გამოძიების მიმდინარეობის პროცესში გამოძიების შესახებ ინფორმაციის დაცვა გასაჯაროებისგან. გამომძიებელი უფლებამოსილია, რომ პროცესში მონაწილე ნებისმიერ პირს მოსთხოვოს მისი ნებართვის გარეშე ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა.

გამოძიება წყდება, თუ გამოიკვეთა, რომ არ დარღვეულა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი კანონი ანუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო ან/და არ არსებობს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის საჭირო კანონი<sup>5</sup>. შეიძლება ქვეყანაში ახალი კანონიც იყოს მიღებული, რომელიც ქმედებას არ დააკვალიფიცირებს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს ან საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ კანონი, რომელსაც ემყარებოდა ბრალი, იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი.

ასევე შეუძლებელია გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ისეთ დანაშაულზე, რომლის ხანდაზმულობის ვადაც უკვე გავიდა. გარდა ამისა, გამორიცხულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი და იმავე ბრალდების გამო ერთი და იმავე პირის მიმართ ორჯერ ან მეტჯერ, თუ უკვე არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაც იმ პირების მიმართ, რომელსაც არ მიუღწევიათ იმ ასაკისთვის (14 წლისათვის), რომლიდანაც

---

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხ. 7.

შეიძლება დგებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო ან ბრალდებული გარდაიცვალა.

კანონის შესაბამისად, ბრალის დამტკიცების მეორე ეტაპია პირის ბრალდებულად ცნობა. ამისათვის საჭიროა გარკვეული საფუძველი. ეს არის გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. დაუშვებელია ასეთ მტკიცებულებად იქნას გამოყენებული ირიბი ჩვენება. აღნიშნული საფუძველის არსებობის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ.

ბრალდებულს ბრალი წაეყენება დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. პროკურორი თავად განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს. ბრალდების შესახებ დადგენილებაში იწერება: ბრალდებულის სახელი და გვარი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი, პირადი ნომერი; ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით; გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ნამდვილად ბრალდებულმა ჩაიდინა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული. პროკურორი ბრალდებულსა და მის ადვოკატს აცნობს დადგენილებას ბრალდების შესახებ, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ ბრალდებული და მისი ადვოკატი.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, არდაწყება ან შეჩება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს აფორმებს წერილობით, დადგენილების სახით. სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის

თქმამდე პროკურორი კონსულტაციებს გადის დაზარალებულთან და დადგენილების ასლს აბარებს 1 კვირის ვადაში.

სისხლის სამართლის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ბრალდებულის დაკავება, რაც გულისხმობს ბრალდებულის ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთას. ბრალდებული დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როგორც კი მას შეეზღუდება თავისუფლად გადაადგილების უფლება. დაკავების მომენტი არის ერთობ მნიშვნელოვანი, რადგან დაკავების მომენტიდან პირი ავტომატურად ითვლება ბრალდებულად. დაკავებას აქვს რამოდენიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ერთ-ერთის მაინც არარსებობა გამოიწვევს უკანონო თავისუფლების შეზღუდვას. დაკავების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული;
- არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში;
- არსებობს გონივრული ეჭვი რომ პირი გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

რა თქმა უნდა, ბრალდებულის დაკავებისათვის საჭიროა სასამართლოს განჩინება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ნებისმიერი პირი იქნეს დაკავებული სასამართლოს განჩინების გარეშე. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და არსებობს მიმალვის საფრთხე, რაც გამოიწვევს სასამართლოში გამოუცხადებლობას ან არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მოსპობს ან მნიშვნელოვან ნივთიერ მტკიცებულებებს გაანადგურებს. ასევე არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ

დანაშაულს და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა. ასეთი შემთხვევებია:

- თუ პირს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- თუ პირს დაინახავენ დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;
- თუ პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;
- თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი შესაძლოა მიიმალოს;
- თუ პირი ძებნილია.

მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის დაკავება განახორციელოს იმ პირმა, ვისაც კანონიერი უფლებამოსილება გააჩნია. ასეთი პირი კი არის მხოლოდ გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს ის თანამშრომელი, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, აწარმოებს გამოძიებას ან/და ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს და განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული და გააცნოს მას ბრალდებულის ძირითადი უფლება: ადვოკატის ყოლის, დუმის, კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და სხვა.



დაკავება რომ კანონიერად ჩაითვალოს, დამკავებელმა დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დაკავებულმა შეიძლება დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელს უფლება აქვს ჩაატაროს პირადი ჩხრეკა.

დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებულის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად იგი უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და ექიმის მიერ გაცემული ცნობა დაკავებულის ჯანმრთელობის შესახებ დაერთოთ დაკავების ოქმს. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ იგი დაუყოვნებლივ არ გადაეცა, უნდა გათავისუფლდეს. დაკავების ვადა ითვლება პატიმრობის ვადაში.

ბრალდებულის დაკავებისას აუცილებელია, რომ დამკავებელმა ყველა წესის დაცვით შეადგინოს დაკავების ოქმი. დაკავების ოქმი დგება დაკავების ადგილზე, დაუყოვნებლივ, თუ გარკვეული გარემოებებისა და გათვალისწინებით შეუძლებელია პირის დაკავების თანავე დაკავების ადგილზე შედგეს დაკავების ოქმი, დამკავებელმა იგი უნდა შეადგინოს დაკავებულის პოლიციის განყოფილებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. თუ დაკავებისას პირს არ განემარტა უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმი ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაზეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაკავებული დაუყოვნებლივ განთავისუფლდება, თუ:

- არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

- სასამართლოს მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ;
- გავიდა დაკავების დადგენილი ვადა;
- დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი;
- სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ არის აუცილებელი.

დაკავებულის გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით. დაკავებული თავისუფლდება დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილების საფუძველზეც, თუ გადის დაკავების ვადა. გათავისუფლებისას დაკავებულს გადაეცემა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ასლი. ნებისმიერ პირს, უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრულიად აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროკურორი ვალდებულია, პირის დაკავებიდან არაუგვიანეს 3 საათში შეატყობინოს დაკავებულის ოჯახის რომელიმე წევრს ან რომელიმე ნათესავს, ან ახლობელს პირის დაკავების შესახებ. თუ დაკავებულს არ ჰყავს ოჯახი, ნათესავები, ახლობლები, ან ვერ ხერხდება მათი მოძებნა, პროკურორი ვალდებულია პირის დაკავების შესახებ განაცხადოს დაკავებულის სამუშაო, საცხოვრებელ ან სასწავლებელ ადგილებში. თუ დაკავებული, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

## თავი II. უდანაშაულობის პრეზუმფციის განვითარების ისტორია

### 1. რომის სამართალი.

რომაული სამართლის ძეგლები უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამართლის წყაროებია, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს თანამედროვე სამართლის ისეთი ფორმით ჩამოყალიბებაში, როგორც ის დღეს არის.

რომის სამართლის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამართლის წყაროა იუსტინიანეს კოდექსი, სადაც 22.3.2 წესად ვაწყდებით უდანაშაულობის პრეზუმფციის მსგავს ნორმას, რომელიც შეეხება მტკიცებულებებსა და მტკიცების ტვირთის დაკისრების წესს. იქ პირდაპირ და გარკვევით წერია, რომ მტკიცების ტვირთის მატარებელია ბრალმდებელი და არა ბრალდებული: „*Ei incumbit probatio qui dicit, non qui negat.*“<sup>6</sup>

გარდა ამისა, თეოდოსიუს II-ის 438 წლის კოდექსშიც გვხვდება დაახლოებით მსგავსი შინაარსის ტექსტი. ანტონიუს პიუსის კარზე მოღვაწე „იურისტ პაულის“ მიერ დაიწერა 138-147 წლებში (ზუსტი თარიღი უცნობია) მსგავსი შინაარსის კანონი, რომელიც ბრალმდებელს აკისრებდა ბრალდების სრულ ტვირთს.

## 2. ისლამური სამართალი.

მუსლიმური სამართლის თანახმად, „ყველა ადამიანი უდანაშაულოა, სანამ მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება. დაუშვებელია ბრალდებულის მიმართ უკიდურესი სიმკაცრის გამოყენება მანამ, სანამ მისი უდანაშაულობა წარმატებით არ გაბათილდება (გასაჩივრდება) ბრალდებლის მიერ. ნებისმიერი ბრალდებული უნდა განისაჯოს სასამართლოზე ისე, როგორც ყველა სხვა ადამიანი. მხოლოდ მაშინ კი, როდესაც მისი დამნაშავეობა აშკარა გახდება, ყველა შუამდგომლობა უნდა უარყოფილ იქნას, რომელიც დამნაშავის გასამართლებლად (დასაცავად) იყო დაყენებული.“<sup>7</sup>

---

<sup>6</sup> Grenoble: Université Pierre-Mendès-France. Archived from the original on 2012-03-28. Retrieved 2010-10-13;

<sup>7</sup> Aaron Kirschenbaum, Double Jeopardy and Entrapment in Jewish Law, 3 Israel Yearbook on Human Rights, Rts. 202 (1973), p. 211.

### 3. თალმუდის მოძღვრება.

რომაული სამართლის მსგავსია თალმუდის ტრადიციული სამართალი. მკიცებულებათა არსი და პრინციპი თითქმის ერთი-ერთშია გამეორებული. მაგ.: იმამ ნავინის ჰადიდის საფუძველზე შეგვიძლია თამამად თქვათ, რომ „ექვი“ უნდა იყოს საფუძვლიანი (მტკიცებულებებით გამყარებული) და გონივრული. <sup>8</sup> იმამ ნავინი მკაცრად გმობდა ყოველგვარ უსაფუძვლო ექვს. გარდა ამისა, იმამ ბუხარი და იმამ მუსლიმიც საუბრობენ დანაშაულის დამტკიცების აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც ბრალი „ექვის“ საფუძველზე ედება დამნაშავეს და არა უტყუარი მტკიცებულებებისა.<sup>9</sup>

მუჰამედის შემდგომ პერიოდშიც, ხალიფა ალი იბნ აბი აბლი თალიბიც საუბრობს ბრალდებულის განთავისუფლებაზე სასჯელისაგან, როდესაც მტკიცებულებანი საექვოა ან მსაჯულთა განზრახვა - წინასწარი, საექვო მტკიცებულებებისდა გამო, ასეთი მტკიცებულებანი „უარყოფილნი“ უნდა იყვნენო. <sup>10</sup>

### 4. დასავლეთ ევროპა.

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ, დასავლეთში დაიწყო ფეოდალური ხანა. ფეოდალური კანონმდებლობა მოიცავდა რომაულ ელემენტებს, მაგრამ ძირითადად ემყარებოდა მაინც გერმანულ ადათ-წესებს. შეიქმნა ახალი ელიტარული კლასტერი - ახალი სწავლულების საზოგადოება. მათ მიზნად დაისახეს გერმანული და რომაული სამართლის გაერთიანება. მათი სწავლების მიხედვით, ბრალდებულზე გადავიდა უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი.

---

<sup>8</sup> Imam Nawawi. 1977. An-Nawawi's Forty Hadith (Second Edition English Translation by Ezzedin Ibrahim). Damascus: Holy Koran Pub. House, Hadith No. 33;

<sup>9</sup> Sahih Muslim (English Version), Book 32, Hadith 6214;

<sup>10</sup> Imam ibn Hajar's Bulugh al-Maram (English Version), Book 10, Hadith 1260.

სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესი ნელ-ნელა გაინკვიზიციურდა და ბრალმდებელი გახდა მოსამართლედ, მსაჯულიცა და დამცველიც, ბრალდებულს კი თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად დაევალა ისეთის კეთება, რაც დღევანდელი გადასახედიდან აბსურდათაც კი მოგვეჩვენება.

ასეთი იყო, მაგალითად, 12 ადამიანის შეგინება, წყლით გამოცდა - თუ პირი დაიხრჩობოდა, უდანაშაულო იყო, თუ გადარჩებოდა - დამნაშავე, კოცონზე დაწვა - თუ თავს დაიხსნიდა უდანაშაულო იქნებოდა, თუ ვერ მოასწრებდა თავის დახსნას - დამნაშავე. ყველაზე უცნაურ მტკიცებულებად კი მიიღებოდა საჯაროდ იმავე ქმედების განმეორება, რაშიც ბრალდებულს ბრალი ედებოდა. აღნიშნული პროცესის ფორმა გახდა თავად-აზნაურთა და ბატონთა მიზნების გამტარებელი. უმეტესწილად მმართველნი ერთობოდნენ მათზე დაბალი ფენის ხალხით, მათ საჯაროდ ამცირებდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. ამას კი კანონით ნიღბავდნენ.<sup>11</sup>

მე-12 საუკუნეში რომის სამართალი გადაიქცა კათოლიკურ სამართლად, უზენაეს მსაჯულად - მოსამართლედ, პაპი იქნა აღიარებული, ადგილობრივ მოსამართლეებად - ეკლესიის წინამძღოლები, მღვდლები ბრალმდებლებად იქცნენ, ხოლო ღვთის ნამდვილი მსახურები (ბერები) - დამცველები გახდნენ. პროცესები გახდა დახურული. საჯარო იყო მხოლოდ ბრალის სასჯელის გამოტანის - გამოცხადების პროცესი. დაიწყო ალქაჯებზე ნადირობის ხანა და უფლის და სამართლის სახელით გამართლებული მკვლელობების ეპოქა.

კათოლიკურმა სამართალმა, უდიდესი გავლენა იქონია შუა საუკუნეების საერო სამართალზე,<sup>12</sup> მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უდანაშაულობის

---

<sup>11</sup> "Law in the Middle Ages". The Finer Times. Retrieved January 16, 2018;

<sup>12</sup> Friedman, Lawrence M., American Law: An Introduction (New York: W.W. Norton & Company, 1984), pg. 70;

პრეზუმფცია მაინც იყო სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი კათოლიკურ საეკლესიო თუ საერო სამართალში, რამდენად იცავდნენ მას. ეს კი უკვე სხვა საქმე იყო.<sup>13</sup>

## 5. აღმოსავლეთ ევროპა.

დასავლეთ ევროპისაგან გასხვავებით, აღმოსავლეთ ევროპამ იუსტინიანეს სამართლის კანონებით განაგრძო ცხოვრება. აღმოსავლეთ ევროპაში ფასეულად ტრადიციული რომაული სამართალი იყო მიჩნეული და კანონმორჩილება ყველასთვის თანაბრად სავალდებულო. რომის იმპერიის ნანგრევებზე აღზევდა სამართალი იმ ფორმით, როგორც არის დღეს კვლავ ზოგიერთ ქვეყანაში, ისეთი როგორც არის, მაგალითად, სერბეთი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სერბები უდანაშაულობის პრეზუმფციას მეტად ფაქიზად და სათუთად ეკიდებიან. ისინი იმ პრინციპებს აგრძელებენ, რომელსაც თავად პიუსი და იუსტინიანე იცავდნენ.

### თავი III. უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება

ბრალდების მხარე ვალდებულია, გამოიკვლიოს დანაშაულის თითოეული ელემენტი, გონივრულ ეჭვს მიღმა ანუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამოკიდებულება სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან. სწორედ ამიტომ, ბრალდებულს არ ეკისრება უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი. ყველა დამნაშავე „უდანაშაულოა“, სანამ საპირისპიროს არ დაამტკიცებს ბრალმდებელი მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა წინაშე.<sup>14</sup>

---

<sup>13</sup> William Wirt Howe, *Studies in the Civil Law, and its Relation to the Law of England and America* (Boston: Little, Brown, and Company, 1896), pg. 51.

<sup>14</sup> Mueller, Christopher B.; Laird C. Kirkpatrick (2009). *Evidence*; 4th ed. Aspen (Wolters Kluwer). ISBN 978-0-7355-7968-2. pp. 133–34;

უდანაშაულოდ ცნობის ინტიტუტის შემოღება უკავშირდება ბრიტანელ სამართალმცოდნეს და ადვოკატს სერ უილიამ გაროვის სახელს.<sup>15</sup> 1791 წელს პროცესზე Old Bailey - ში მან პირველად გამოიყენა ეს თეორია ბრალდებულის დაცვის განხორციელებისას. გაროუ მომხრე იყო ბრალდების მხრიდან მყარი არგუმენტაციის წარდგენის ვალდებულების შემოღებისა, რადგან წინასწარ ბრალდებულის გარშემო „დამნაშავეობის“ განწყობის შექმნის მცდელობამ ბრალმდებლის მხრიდან, კინაღამ რომ დაარწმუნა მის ერთ-ერთ პროცესზე ნაფიცი მსაჯულები ბრალდებულის დამნაშავეობაში, მაშინ როდესაც პროკურორის სამსახურს არ ჰქონდა წარდგენილი სათანადო მტკიცებულებები.<sup>16</sup>

მოგვიანებით, 1935 წელს, საქმეში ბრიტანეთი VS ვულმინგტონი, სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში გამოიყენა გაროუს თეორია „ოქროს ძაფის“ შესახებ, რომელიც მტკიცებულებათა მნიშვნელობაზე და საქმესთან კავშირზეა.

უდანაშაულობის პრეზუმფციაზე ისაუბრა ფრანგმა იურისტმა ჟან ლემონმა. მან ყურადღება ადამიანის „სავარაუდო“ უდანაშაულობაზე გაამახვილა და თქვა, რომ ადამიანის სავარაუდოდ უდანაშაულოა, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება. დასკვნები კი უნდა გაკეთდეს იურიდიული კვლევების საფუძველზე.<sup>17</sup>

ლემონის განცხადება არ ეხებოდა მხოლოდ მტკიცების ტვირთის დაკისრებას. ის აგრეთვე საუბრობდა ბრალდებულის იმ უფლებებზე, რომელიც არ უნდა შეიზღუდოს არც ერთ შემთხვევაში. ასეთ უფლებად იგი გვისახელებდა კვალიფიციური დაცვის უფლებას. იგი საუბრობდა შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრების აუცილებლობაზეც მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა და

---

<sup>15</sup> Moore, Christopher (1997). The Law Society of Upper Canada and Ontario's lawyers, 1797–1997. University of Toronto Press. ISBN 0-8020-4127-2;

<sup>16</sup> Rembar, Charles (1980). The Law of the Land. New York: Simon & Schuster.

<sup>17</sup> Words and Phrases 1914, p. 1168;

სუბიექტურ და ობიექტურ სავალდებულო დამოუკიდებლობაზე.<sup>18</sup> მას სურდა, რომ მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს თავიანთი ინიციატივით მხარი არ დაეჭირათ სახელმწიფოსათვის ბრალეულობის დამტკიცებაში და სახელმწიფოს ეს თავად მოეხერხებინა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს რესურსი შეუზღუდავია, რასაც ვერ ვიტყვით ჩვეულებრივი ადამიანის - ბრალდებულის რესურსებზე.

მისი თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრებოდა ტვირთი, ემტკიცებინა, ჩაიდინა თუ არა მართლაც ბრალდებულმა ის დანაშაული, რაშიც მას ბრალი ედებოდა. რა თქმა უნდა, მოპასუხესაც უნდა ჰქონოდა თავისი უდანაშაულობის დამტკიცების უფლება და საშუალება. ამით ბალანსი არ დაირღვეოდა და წონასწორობა აღდგებოდა.

მან ასევე ისაუბრა ჩვენების მნიშვნელობაზე, როდესაც ჩვენებას იძლევა თავად ბრალდებული ან მასთან დაახლოებული პირი და ბრალმდებელი ამ ჩვენებას იყენებს სისხლის სამართლის პროცესზე. იგი მოითხოვდა ასეთი ჩვენებების საქმიდან ამოღებას, თუ ეს ბრალდებულის მდგომარეობას აუარესებდა. ის საუბრობდა ნაფიც მსაჯულთა და მოსამართლეთა ადამიანური ბუნების ფაქტორზე და ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი ფორმის წინასწარ შექმნილ განწყობას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც განწყობა იქმნებოდა მარტო იმიტომ, რომ ბრალი წაუყენეს ეჭვიმიტანილს.

უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ აგრეთვე საუბრობდა უილიამ ბლექსტონი თავის 1760 წლის პუბლიკაციაში. იგი აღნიშნავდა, რომ სჯობს 10 დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს ტყუილუბრალოდ - „It is better that ten guilty persons escape than that one innocent suffer.“

---

<sup>18</sup>Innocent Until Proven Guilty: The Origins of a Legal Maxim Kenneth Pennington A Ennio Cortese (3 Volumes. Roma: Il Cigno Galileo Galilei Edizioni, 2001).



აღნიშნული იდეა დაედო საფუძვლად ანგლო-საქსურ სამართალში უდანაშაულობის პრეზუმფციის განვითარებას. იგი გახდა მკვლევართა საყვარელი საკვლევი და საკამათო თემა.

ბლექსტონის იდეა ლორდმა სენკიმ Woolmington v DPP საქმეში საფუძვლად დაუდო დაცვის სტრატეგიას. გარდა ამისა, მან „ოქროს ძაფის“ თეორიაც საკმაოდ ჭკვიანურად გამოიყენა ბრალდებულის მიმართ წინასწარ შექმნილი განწყობის გასაქარწყლებლად. ლორდ სენკი ამბობდა, რომ ინგლისურ სისხლის სამართალში ყოველთვის შესაძლებელია მოიძებნოს ერთი ოქროს ძაფი მაინც, რომელიც პროკურორს დაავალდებულებს, კანონით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულოს და დაამტკიცოს პირის ბრალეულობა. ლორდი სენკი ითხოვდა, გამოერიცხათ და ამოეღოთ საქმიდან ყველ ის მტკიცებულება, რომელიც არ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს და არ იყო უტყუარი.

## 1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

„Everyone charged with a penal offence has the right to be presumed innocent until proved guilty according to law in a public trial at which he has had all the guarantees necessary for his defense.“<sup>19</sup>

როგორც არაერთხელ ავღნიშნე, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია ის, რომ არც ერთ ადამიანს, რომელსაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, არ დაედოს უსაფუძვლოდ ბრალი. აუცილებელია, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება კანონიერი, საჯარო და სამართლიანი პროცესით. აუცილებელია, რომ ნებისმიერ ბრალდებულს გააჩნდეს სამართლებრივი და კვალიფიციური დაცვის განხორციელების ყველა საშუალება.

---

<sup>19</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მე-11 მუხ.

სავალდებულო დაცვა - არის ტერმინი, რომელიც გამოხატავს ბრალდებულის რამოდენიმე ძირითად უფლებას და მათი შეზღუდვა დაუშვებელია. ეს უფლებებია: ადვოკატის ყოლის სავალდებულოება, თუ ბრალდებული: არასრულწლოვანია; არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას; გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით; მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე; სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას; გაამევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან; არაიდენტიფიცირებული პირია; განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;

ბრალდებულს სახელმწიფო დაუნიშნავს ადვოკატს, თუ: გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას; არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

ნებისმიერ შემთხვევაში, ბრალდების მხარე ან მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს სახელმწიფო იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით, თუ აღმოაჩენენ, რომ ბრალდებული სავალდებულო კვალიფიციური დაცვის გარეშე დარჩენილი.<sup>20</sup> ბრალდებულს უფლება აქვს, მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით, თუ აქვს მას არ აქვს მატერიალური საშუალება, მაგრამ აქვს თავის დაცვის სურვილი.

---

<sup>20</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 203;

დაცვის სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიღებს დაცვისათვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან. ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა განისაზღვრება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

კანონის მოქმედებას დროსა და სივრცეში, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შეუძლებელია, როგორც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, ადამიანს მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით.

## 2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

„Everyone charged with a criminal offence shall be presumed innocent until proved guilty according to law“.<sup>21</sup>

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არის ყველაზე ჰუმანური საერთაშორისო კონვენცია, რომელიც კი მიღებულია გასულ საუკუნეებში. იგი სავალდებულოა ევროსაბჭოს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის და ყველა ხელშემკვრელი მხარე აგებს პასუხს მასში გაწერილი თითოეული მუხლის დაცვაზე. ამ კონვენციაში თითოეული სიტყვა მეტად ფრთხილად და საჭიროდ არის შერჩეული, თითოეული მუხლი ორიენტირებულია ადამიანის, როგორც უდიდესი სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე.

---

<sup>21</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, 1950, მუხ. 6.2.

უდანაშაულობის პრეზუმფციას მეტად კონკრეტულ განმარტებას აძლევს ევროპული კონვენცია. ყოველ ბრალდებულს აქვს უფლება: მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი; ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად; დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; თვითონ დააკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და გამოამახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში; ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციისეულ განმარტებაში ვაწყდებით უდანაშაულობის პრეზუმფციის საკმაოდ მჭიდრო კავშირს სისხლის სამართლის პროცესის სხვა ძირითად პრინციპებთან, რაც უკვე ავლნიშნე ნაშრომის შესავალ ნაწილში. კონვენცია ნათლად აყალიბებს აზრს, რომ დაცული უნდა იყოს პირის გასამართლებისას სისხლის სამართლის პროცესის ის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც ემყარება სამართლის სამართლიანობა და კანონის კანონიერება.

კონვენციის მეექვსე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია უდანაშაულობის პრეზუმფციის კავშირზე პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობაზე, რასაც ამტკიცებს მოთხოვნა პროცესის იმგვარად ჩატარების თაობაზე, რომ ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის მიმართ ღირსების შემლახავი განცხადებების გაკეთება იყოს მინიმუმამდე დაყვანილი, რათა მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს არ შეექმნათ წინასწარი ცუდი განწყობა ბრალდებულის მიმართ.

აუცილებელია, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის ფარგლებში პროცესი უნდა იყოს სწრაფი და სამართლიანი და სასამართლოს განაჩენი დაემყაროს უტყუარ მტკიცებულებებს. ასევე აუცილებელია, რომ მხარეები იყვნენ თანასწორნი და დაცვის მხარის უფლებები შეძლებისდაგვარად მიუახლოვდეს ბრალდების მხარის უფლებებს, თუნდაც იმით, რომ სახელმწიფომ იკისროს სავალდებულო დაცვა, აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ აუცილებელია მტკიცებულებათა გაცვლა, მხარეთა მიერ დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევის საშუალება, თარჯიმნის დაქირავების სავალდებულოება და სხვა.

გარდა ამისა, პროცესი ვერ იქნება სამართლიანი, თუ სასამართლო სხდომა არ იქნება საჯარო და ზეპირი. აღნიშნული პროცესის ფორმა არის წინადადებული ნაბიჯი იმ ქვეყნებში, რომლებშიც საუკუნეების მანძილზე პროცესის ფორმად გვევლინებოდა ინკვიზიციური პროცესი. სისხლის სამართლის პროცესი რომ იყოს საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი, ამიტომაც არის სავალდებულო, რომ ჩატარდეს სახელმწიფო ენაზე და აი ზუსტად ამიტომაც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იქნას დაქირავებული თარჯიმანი, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ბრალდებული სრლყოფილად ან საერთოდ არ ფლობდეს სახელმწიფო ენას. უდანაშაულობის პრეზუმფცია ვერ იქნება დაცული, თუ დაირღვა კანონიერების პრინციპი და განაჩენი არ იქნა დასაბუთებული მოსამართლის მიერ სათანადოდ მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე.

მართალია, აღნიშნული კონვენცია ევროპის კონტინენტზე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უნივერსალური მექანიზმია, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ კონვენციის მეექვსე

მუხლის მეორე ნაწილი თითქმის იდენტურია ევროკავშირის უფლებათა ქარტიის 48-ე მუხლისა.<sup>22</sup>

### 3. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.

„Everyone charged with a criminal offence shall have the right to be presumed innocent until proved guilty according to law.“

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში უდანაშაულობის პრეზუმფციას მე-14 მუხლი ეთმობა. მე-2 პუნქტში ნათლად არის ნათქვამი, რომ ყველას, ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, აქვს უფლება, ჩათვალოს უდანაშაულოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა კანონის შესაბამისად.

„Everyone shall be presumed innocent until proved guilty before the Court in accordance with the applicable law.“

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო ქარტიის მსგავს განმარტებას იძლევა საერთაშორისო სისხლის სამართლის ერთობ მნიშვნელოვანი სამართლებრივი წყარო და ძეგლი - „რომის სტატუტიც“, თითქმის იდენტურად არის იქაც განმარტებული უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი და მნიშვნელობა და ის უფლებები, რომელნიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბრალდებულს, სანამ მას ბრალი არ დაუმტკიცდება.<sup>23</sup>

---

<sup>22</sup> [https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf);

<sup>23</sup> The Presumption of Guilt in the Investigation of Tax Evasion Crimes, Juridical Tribune, Vol. 8, Issue 1 (March 2018), p. 33.

## თავი IV. უდანაშაულობის პრეზუმფცია სხვადასხვა ქვეყნების შიდა საკანონმდებლო აქტებში

### 1. ამერიკის შეერთებული შტატები

„Nor shall any person be subject for the same offence to be twice put in jeopardy of life or limb; nor shall be compelled in any criminal case to be a witness against himself, nor be deprived of life, liberty, or property, without due process of law.<sup>24</sup>“

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში კონკრეტულად უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას, როგორც მუხლს, ვერ ვიპოვით, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე აქცენტები არის გამახვილებული მეხუთე, მეექვსე და მეთოთხმეტე შესწორებებში.

მეხუთე და მეექვსე შესწორებებს მოიხსენიებენ, როგორც „ კანონს უფლებების შესახებ“. კონსტიტუციის თავდაპირველ ვერსიაში ვერსად ვნახავთ ადამიანის ძირითად უფლებებზე გაკეთებულ ჩანაწერებს. შესაბამისად, კონსტიტუციის მოწინააღმდეგეებმა თავდაპირველ კონსტიტუციას ნაკლად ამერიკის მოქალაქეებისათვის უფლებების ჩამორთმევა მოუძებნეს. ამიტომ, 1787-1790 წლებში კონსტიტუციაში შევიდა 10 ძირითადი ცვლილება.

ამერიკის კონსტიტუციის მეხუთე შესწორებაში - პირთა უფლებები პირდაპირ ვკითხულობთ: არავის შეიძლება მსჯავრი დაედოს ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ და არავინ არის იძულებული, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, არ შეიძლება მოესპოს ვინმეს სიცოცხლე, აღეკვეთოს თავისუფლება ან ჩამოერთვას ქონება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარეშე.

---

<sup>24</sup> Article [V] (Amendment 5 - Rights of Persons).

ამერიკის კონსტიტუციის მე-6 შესწორებაში - ბრალდებულის უფლებები სისხლისსამართლებრივი დევნისას წერია, რომ: ბრალდებული სარგებლობს სწრაფი, ეფექტური და საჯარო (საქვეყნო) სასამართლოს უფლებითა და მართლმსაჯულებით იმ შტატის იმ ოლქში, სადაც ჩაიდინა მან დანაშაული.

ბრალდებული დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს ნაფიცი მსაჯულების წინაშე. ბრალდებულს ბრალის დადების მომენტისათვის უნდა ჰყავდეს დამცველი, ეცნობოს ბრალის შესახებ, აეხსნას მიზეზები და გარემოებები თუ რატომ არის იგი ეჭვმიტანილი და წარედგინოს ბრალმდებლის მიერ მოგროვებული სამხილები და გაეცნოს მოწმეთა ჩვენებებს, რომელთა საფუძველზეც მას ბრალი ედება.

მეექვსე შესწორება ყველაზე ახლოს დგას უდანაშაულობის პრეზუმფციის არსთან. „In all criminal prosecutions, the accused shall enjoy the right to a speedy and public trial, by an impartial jury of the State and district wherein the crime shall have been committed, which district shall have been previously ascertained by law, and to be informed of the nature and cause of the accusation; to be confronted with the witnesses against him; to have compulsory process for obtaining witnesses in his favor, and to have the Assistance of Counsel for his defence.“<sup>25</sup>

მე-14 შესწორებაში - ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის შესახებ, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის შესახებ ვკითხულობთ: სათანადო სასამართლო პროცესის გარეშე შეერთებული შტატების სასამართლო არავის დასჯის სიკვდილით, არავის აღუკვეთს თავისუფლებას, არავის ჩამოართმევს ქონებას ან შეუზღუდავს რაიმე უფლებას - „nor shall any State deprive any person of life, liberty, or property, without due process of law.“<sup>26</sup>

---

<sup>25</sup> Article [VI] (Amendment 6 - Rights of Accused in Criminal Prosecutions);

<sup>26</sup> Article XIV (1) (Amendment 14 - Rights Guaranteed: Privileges and Immunities of Citizenship, Due Process, and Equal Protection).



თითოეული შესწორება არის უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების და სისხლის სამართლის პროცესის წარმართვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის რეალიზების ფაქტობრივი შესაძლებლობა. სამივე შესწორებაში ვხვდებით იმ კომპონენტების სავალდებულოებას, რომელნიც განაპირობებენ პირის უდანაშაულოდ ჩათვლას მანამ, სანამ ამას სასამართლო არ გადაწყვეტს. ესენია: სათანადო ბრალის დადება, სამართლიანი და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება და კვალიფიციური დაცვის განხორციელების შესაძლებლობა.

ამერიკული სასამართლო პროცესი ხომ სწორედ ამ საწყისებზეა აგებული და თუნდაც უდანაშაულობის პრეზუმფცია არ ერქვას რომელიმე შესწორებას, თითოეული შესწორების აზრი და არსი ხომ სწორედ იმაშია, რომ თანასწორუფლებიანობისა და ანტიდისკრიმინაციის გარეშე ჩატარდეს სათანადო სასამართლო პროცესი, სადაც ბრადებულს ექნება საშუალება, დაიცვას თავი მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების წინაშე.<sup>27</sup>

## 2. დიდი ბრიტანეთი

უდანაშაულობის პრეზუმფცია არის ინგლისში სისხლის სამართლის პროცესის ის ძირეული პრინციპი, რომელმაც არაერთ ცვლილებას გაუძლო და თანამედროვე სამყაროშიც კი გვევლინება უცვლელად, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად, რომელსაც ემყარება მთელი სისხლის სამართლის პროცესი.

ბრალდებული აუცილებლად უნდა წარედგინოს ნაფიც მსაჯულებს. ეს არის ის ძირითადი კონსტრუქცია, რაზეც ბრიტანული სასხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დგას. გარდა ამისა, ინგლისური კანონის თანახმად, ექვმიტანილს შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავოს - გამოიყენოს დუმილის

---

<sup>27</sup> The Constitution of the United States The Bill of Rights & All Amendments <https://constitutionus.com/>

უფლება და არ მისცეს თავისი თავის წინააღმდეგ ჩვენება. ექვმიტანილის ფორმალური (ოფიციალური) დაკავების შემდგომ კანონი არ ავალდებულებს ბრალდებულს სასამართლოსთან თანამშრომლობას. ასევე, არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს პოლიციის მხრიდან ექვმიტანილის იძულებას ინფორმაციის დადასტურებაზე ან უარყოფაზე. თუ ექვმიტანილი უარს განაცხადებს თანამშრომლობაზე, პოლიციის მხრიდან რაიმე ფორმით იძულება, რომ გამოძიებაში დაიხმაროს ექვმიტანილი, იქნება კანონდარღვევა და პოლიციის ოფიცერი, რომელიც ამას აიძულებს ბრალდებულს, დაჯარიმდება კანონის შესაბამისად.<sup>28</sup>

ინგლისური კანონმდებლობით სრულიად შესაძლებელია, რომ მოქალაქე დაკავებული იყოს გონივრული ეჭვის საფუძველზე, რომელიც შეიძლება არ იყოს გამყარებული მტკიცებულებებით ან ბრალმდებლისაგან მოპოვებული მტკიცებულებები იყოს უკანონოდ მოპოვებული, მაგრამ აუცილებელია ბრალის გადასინჯვა მოსამართლესთან პირველად წარდგენის ეტაპზე. მტკიცებულებების კანონიერად მოსაპოვებლად ბრალმდებელს ეძლევა გარკვეული დრო სასამართლოს მიერ, თუ ექვმიტანილს ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში.

აღნიშნული გამოწვევისით სარგებლობს ბრალმდებელი ისეთი კატეგორიების დანაშაულთა გამოძიებისას, როგორც არის, მაგალითად, სექსუალური ხასიათის დანაშაული - გაუპატიურება. ამ დროს ბრალდებულს ეკისრება ვალდებულება, თუ დანაშაული დამთავრებულია, დაამტკიცოს, რომ დაზარალებული შეიძლება თანახმა ყოფილიყო გონივრული აზროვნების გათვალისწინებით სექსუალურ აქტზე. ბრალდებული ამ დროს ხდება ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და წარადგინოს სათანადო მტკიცებულებები, რომ დაზარალებული იყო საღ გონებაზე, არ

---

<sup>28</sup> "OPSI.gov.uk". OPSI.gov.uk. Retrieved 2010-10-13;

იყო ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ, იყო თანახმა და სექსუალურად აქტიური ცხოვრების სტილი მისი ცხოვრების წესია.<sup>29</sup>

ზემოხსენებული დანაშაულის კატეგორია არის ის უიშვიათესი გამონაკლისი, როდესაც ბრალმდებლის მაგივრად ბრალდებულს ეკისრება მტკიცების ტვირთი.

### 3. საფრანგეთი

საფრანგეთში არსებობს კონსტიტუციური კანონის ძალის მქონე 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ადამიანი უდანაშაულოდ უნდა იყოს მიჩნეული, სანამ სასამართლო არ გამოაცხადებს მას დამნაშავედ.

გარდა ამისა, ფრანგულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველ გამოცემაში ვხვდებით შემდეგ ტექსტსაც: ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია, უდანაშაულოდ ითვლება, მანამ სანამ მისი ბრალეულობა არ დადასტურდება.<sup>30</sup>

საფრანგეთში, არსებობს ნაფიც მსაჯულთა ეთიკის კოდექსი (ფიცი), სადაც 304-ე მუხლში წერია: შესაძლებელია არსებობდეს მცდარი მოსაზრებები და შეხედულებები, რომელთაგანაც ისინი თავისუფლდებიან და ყველას მიიჩნევენ უდანაშაულოდ, სანამ ბრალი არ დამტკიცდება.<sup>31</sup>

### 4. კანადა

„not to be deprived thereof except by due process of law“.

---

<sup>29</sup> "legislation.gov.uk". legislation.gov.uk. Retrieved 2011-04-27.

<sup>30</sup> Code de procédure pénale, article préliminaire (in French);

<sup>31</sup> Code de procédure pénale, article 304 (in French).

კანადაში არის უფლებათა და თავისუფლებათა ქარტია, რომლის მე-11 მუხლის „დ“ პუნქტშიც წერია: „ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, აქვს უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და სამართლიანი ტრიბუნალის მიერ სამართლიანი და საჯარო მოსმენით“.<sup>32</sup>

კანადაში ასევე მოქმედებს კანადის ადამიანის უფლებების კონვენცია, სადაც პირველი ნაწილის პირველი მუხლის „ა“ პუნქტშია გადმოცემული უდანაშაულობის პრეზუმფციის მაგვარი ადამიანის ის ძირითადი უფლება, რომელიც ემსახურება სამართლიანი პროცესის შედაგად ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვასა და ქონების ჩამორთმევას.<sup>33</sup>

## 5. რუსეთი

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 49-ე მუხლი ეთმობა უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას ან როგორც მას რუსეთში უწოდებენ, თავისუფლებისა და უდანაშაულობის უფლებას. 49-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათლად ჩანს, თუ რა ხისტი და ერთგვაროვანი დამოკიდებულებაც გააჩნია რუს კანონმდებელს ბრალდებულთან, რომლის ბრალიც არ არის სათანადოდ დამტკიცებული. რუსი კანონმდებლები ამბობენ, რომ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული თითოეული ადამიანი ჩაითვლება უდანაშაულო, სანამ არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა რუსეთის ფედერალური კანონით დადგენილი წესით და არ დადგინდება სასამართლოს განაჩენით პირის ბრალეულობა.

რუსეთის კონსტიტუციის 49-ე მუხლში სახეზე გვაქვს უდანაშაულობის პრეზუმფციის სრული რეალიზება. პირველ პუნქტს ავსებს მეორე და მესამე

---

<sup>32</sup> Canadian Charter of Rights and Freedoms, section 11(d);

<sup>33</sup> Canadian Bill of Rights S.C. 1960, c. 44 Assented to 1960-08-10 PART I Bill of Rights Recognition and declaration of rights and freedoms 1 (a).

პუნქტები, სადაც პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ, ბრალდებული არ არის ვალდებული თავისი უდანაშაულობის მტკიცებისა და ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დამტკიცდება გონვრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, იქნება ბრალდებულის სასარგებლოდ გაქარწყლებული.<sup>34</sup>

## 6. ირანი

„No person may be kept in custody or investigated except according to a judicial decision.<sup>35</sup>“ მართალია, ირანის კონსტიტუცია არც ისე დიდ ხანს ითვლის, იგი სულ რაღაც 15 წლისაა (მიღებულია 2005 წელს), მაგრამ ირანელმა მუსულმანმა კონსტიტუციონალისტებმა, გაითვალისწინეს რა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის თუ მეგობარი სახელმწიფოს რჩევები და რეკომენდაციები, უდანაშაულობის პრეზუმფციას მიუჩინეს ადგილი, რითიც მისი უზენაესობა კიდევ ერთხელ ცხადყვეს.

სახელმწიფო, რომელიც წლებია იმართება შარიათით, ნამდვილად რომ დასაფასებელია, როდესაც რადიკალურ ცვილებებს განიცდის და ცდილობს სამართლის დამკვიდრებას. მუსულმანთათვის ეს არც თუ ისე ადვილია, მაგრამ ისინი ცდილობენ, ეს კი დაუფასებელი არ უნდა დარჩეს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის 37-ე მუხლში ნათქვამია: ნებისმიერი პირი უდანაშაულოდ უნდა ჩაითვალოს მანამ, სანამ მისი ბრალი სათანადოდ არ დამტკიცდება კომპეტენტური სასამართლოს მიერ და არავინ უნდა დასდოს ვინმეს ბრალი სათანადო მტკიცებულებების გარეშე.<sup>36</sup>

---

<sup>34</sup> КОНСТИТУЦИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, С. 49;

<sup>35</sup> Iraq's constitution 2005 Chapter Two: Freedoms Article 37 First B;

<sup>36</sup> Introduction to the Laws of Kurdistan, Iraq Working Paper Series Constitutional Law of Iraq Pub. 2013 Iraq Legal Education Initiative (ILEI) American University of Iraq, Sulaimani Stanford Law School Kirkuk Main Road Crown Quadrangle Raparin 559 Nathan Abbott Way Sulaimani, Iraq Stanford, CA 94305-8610

## 7. იტალია

იტალიის კანონმდებლობა ითვლის არაერთ საუკუნეს. იტალიური სამართალი რომაული სამართლის მემკვიდრედ მოიაზრება. იტალიაში უდიდეს პატივს სცემენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. აქედან გამომდინარე, იტალიის სისხლის სამართლის პროცესში ჰპოვა განვითარება ადამიანის ისეთმა ძირეულმა უფლებებმა, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობაზე.

იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირ და მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ, სანამ ძალაში არ შევა სასამართლოს საბოლოო განაჩენი, რომლითაც ბრალდებული იქნება დამნაშავედ ცნობილი. გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პიროვნულია და სასჯელი არ შეიძლება იყოს არაადამიანური. იგი მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულთა ხელახალ აღზრდას<sup>37</sup>.

## 8. სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „3“ ქვეპუნქტში და ადამიანის უფლებათა ბილში ნათქვამია, რომ ნებისმიერი პირი უდანაშაულოდ უნდა ჩაითვალოს და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება - გაჩუმდეს სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას<sup>38</sup>.

გარდა ამისა, უფლებათა ბილში უდანაშაულობის პრეზუმფციასთან ერთად კანონმდებელმა გაითვალისწინა ბრალდებულის ის პროცესუალური უფლებები,

---

www.aui.edu.iq – p. - 30 ხელმისაწვდომია ლინკზე: <https://law.stanford.edu/wp-content/uploads/2018/04/ILEI-Constitutional-Law-2013.pdf>

<sup>37</sup> Constitution of the Italian Republic, Art. 27;

<sup>38</sup> Constitution of the Republic of South Africa, 1996 - Chapter 2: Bill of Rights, 35. Arrested, detained and accused persons

რომელზეც დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის თანამედროვე სტანდარტების წარმართვის სისტემები. ასეთი უფლებებია, მაგალითად: სიჩუმის უფლება; დაუყოვნებლივ ინფორმირების უფლება; დუმის უფლება; დუმის უფლების გამოყენების შედეგები; ბრალდებულს უფლება აქვს არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება; აღიარების ჩვენებაზე უარისთქმის უფლება; სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უფლება; სასამართლოსთვის დაუყოვნებლივ წარდგენის უფლება ( არაუგვიანეს 48 საათისა); 48 საათის გასვლის შემდეგ პირველი სასამართლო დღის დასრულება, მაგრამ თუ 48 საათი ამოიწურება ისე რომ არ იყო არა სამუშაო საათები ან არა სამუშაო დღე ვადის გახანგრძლივების უფლება; პირველსავე სხდომაზე ბრალის წაყენების უფლება (თუ ბრალი არ წაყენება განთავისუფლება); პატიმრობიდან განთავისუფლების უფლება, თუ დაირღვა სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობა.

სამხრეთ აფრიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზი და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს კვალიფიციური სამართლებრივი დაცვა-ბრალდებულს აქვს უფლება, იყოლოს კვალიფიციური ადვოკატი საკუთარი სახსრებით. თუ არა და დაკავებიდან არა უგვიანეს 24 საათში მას დაენიშნება ხაზინის ადვოკატი. სახელმწიფო ხაზინის ადვოკატის და დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბიუჯეტი.

დაკავებულის პირობები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანისათვის ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს. დაკავებულმა უნდა შეძლოს ვარჯიში (ფიტნესი) ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო ხარჯით. დაკავებული უზრუნველყოფილია სათანადო საცხოვრებლით, სრულფასოვანი კვებით, მედიასთან შეუზღუდავი წვდომით (ტელე-რადიო, ინტერნეტ მედია), სამკითხველო მასალებით (წიგნები, ჟურნალ-გაზეთები) და უმაღლესი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით.

გარდა ამ ყველაფრისა, დროებითი დაკავების იზოლატორში დაკავებულს უფლება აქვს მოინახულოს პარტნიორი ( მეგობარი ქალი/კაცი) ან მეუღლე, ნათესავი, მოძღვარი და ექიმი.

ყველა ბრალდებულს აქვს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება, ნივთიერი მტკიცებულებების სათანადო შესასწავლად გადაცემის უფლება, სათანადო დრო და საშუალებები თავდაცვის მოსამზადებლად, სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება, რომელიც უნდა იყოს კანონიერი, სამართლიანი და დამოუკიდებელი, ასევე საჯარო. სასამართლოს არა აქვს უფლება საქმე განიხილოს წინასწარ შექმნილი განწყობის მიხედვით. სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება აქვს ყველას. ბრალდებულს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი თავი, თუ მას აქვს შესაბამისი იურიდიული განათლება, ბრალდებულს აქვს ასევე უფლება გადათქვას საკუთარი ჩვენება. ჩვენების მიუცემლობა არ გამოიწვევს პირის ბრალდებულად ცნობას. სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე მას შეუძლია მოითხოვოს ახალი ნივთიერი მტკიცებულებების დამატება, დამალოს ან არ წარადგინოს პროცესზე ისეთი მტკიცებულებები, რომელიც იქნება თვითკრიმინაციული.

ბრალდებულს უფლება აქვს გაიმართოს სასამართლო მისთვის გასაგებ ენაზე ან დაინიშნოს თარჯიმანი. იგი ვერ იქნება განმეორებით დაკავებული ან/და ბრალი არ წაეყენება ან არ დაედება მსჯავრი ისეთ ქმედებაზე, რომელიც არ ითვლებოდა ქმედების ჩადენის მომენტისათვის დანაშაულად ან არ არსებობდა კანონი, რომელიც პირს დაადანაშაულებდა ქმედების ჩადენისთვის ან უმოქმედობისთვის.

ასევე პირი არ გასამართლდება ან არ დაკავდება ან არ დაედება მსჯავრი ერთი და იმავე მტკიცებულებების ან ინფორმაციის საფუძველზე ან ისეთი დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ გამართლებული ან მსჯავრდებული იყო. პირს არ შეიძლება დაენიშნოს იმაზე მეტი სასჯელი, რაც კანონით არის გათვალისწინებული.



ნებისმიერს, რომლის მიმართაც გამოვა გამამტყუნებელი განაჩენი, აქვს უფლება, ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში ან უზენაეს სასამართლოში. სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები უნდა იყოს მოპოვებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციის 35-ე მუხლის და სისხლის სამართლის კოდექსის სრული დაცვით. უნდა გამოირიცხოს ან ამოირიცხოს საქმიდან ისეთი მტკიცებულებები, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებათა ბილში ბრალდებულის უფლებებს ან სასამართლო პროცესზე გახდის უსამართლოს ამ მტკიცებულებების აღიარება ან საზიანო იქნება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უდანაშაულობის პრეზუმციის როლის გამოკვლევისას წავაწყდი საოცარ მსგავსებს ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან. მსგავსებანი გამოიკვეთა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციის 35-ე მუხლსა და ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4-მე-18 მუხლებს შორის, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო ქართულ სისხლის სამართლის პროცესში პრინციპების მნიშვნელოვანი როლი და ერთმანეთთან გადაჯაჭვულობა.

## **თავი V. უდანაშაულობის პრეზუმციის რეალიზება ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში**

### **1. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი**

ქართულ რეალობაში უდანაშაულობის პრეზუმცია ვლინდება თავისებურად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უდანაშაულობის პრეზუმცია ჩამოყალიბებულია, როგორც უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია. ქართველი კანონმდებელი გვეუბნება, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება მანამ,

სანამ მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა ხორციელდება სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე, განაჩენის გამოცხადებისთანავე შესაძლებელია ასევე პატიმრობიდან განთავისუფლებაც, როდესაც მსჯავრდებული სასჯელის მოხდისგან განთავისუფლებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ ტოვებს წინასწარი დაკავების იზოლატორს, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის წესი დადგენილია სსსსკ-ს 280-ე მუხლით. განაჩენის, განჩინების აღსასრულებლად მიქცევა ევალება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალება მისი აღსრულება<sup>39</sup>.

განაჩენის აღსრულებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს მისი აღსრულების შესახებ. თუ განაჩენი ითვალისწინებს სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევას, სასამართლო განაჩენის ასლს ასევე გადაუგზავნის იმ ორგანოს, რომელმაც მიანიჭა მსჯავრდებულს წოდება. თუ განაჩენის აღსრულება ითვალისწინებს დაჯარიმებას ან სხვა ქონებრივ სახდელს განაჩენში აღსასრულებლად იწერება სააღსრულებო ფურცელი. თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირი გადასცეს მეურვეობისათვის სხვა პირს ან სამეურვეო ორგანოს განაჩენის ასლი ასვე გაეგზავნება სამეურვეო პირის ადგილსამყოფელის მიხედვით სამეურვეო ორგანოსაც და მსჯავრდებულსაც<sup>40</sup>.

---

<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 744.

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, რედ: გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 744-747.

## 2. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მნიშვნელობა

საქართველოს სსსკ-ს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში ვხვდებით მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ ჩანაწერს. მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება, თუ ის არ დადასტურდა სხვა მტკიცებულებებით, არ არის საკმარისი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ამისათვის საჭიროა მტკიცებულებათა ერთმენთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი ერთობლიობა. გადაწყვეტი მტკიცებულება ვერ იქნება ირიბი ჩვენება, იგი საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.<sup>41</sup>

სასამართლოს არ უნდა წარედგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომელთა უშუალოდ და ზეპირი გამოკვლევა მეორე მხარისათვის შეუძლებელი იქნება. მიუხედავად ამისა, მხარეს აქვს უფლება, სასამართლოში მოითხოვოს მოწინააღმდეგე მხარის მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულებები.

უდანაშუალობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან ოჯახის წევრთა წინააღმდეგ. ასეთი ჩვენება იქნება დაუშვებელი მტკიცებულება და მოსამართლე მას არ გაითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოტანისას<sup>42</sup>.

---

<sup>41</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/548-ვებ. გვერდი, 04.02.2015;

<sup>42</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 112-127.

### 3. დაუშვებელი და პრეიუდიციული მტკიცებულებები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

საქვეყნოდ ცნობილი „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიის თანახმად, თუ თავდაპირველი მტკიცებულება იყო მოპოვებული კანონის დარღვევით, მის საფუძველზე მოპოვებული სხვა ნებისმიერი მტკიცებულებაც იქნება უკანონო. ნებისმიერი მტკიცებულება დაუშვებელია, თუ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის თაობაზე, მისი ნიშან თვისებების არსებითი შეცვლის/გამოცვლის ან დარჩენილი კვალის არსებითი მოსპობის შესახებ. ბრალდების მხარის მტკიცებულებების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით აკისრია ბრალმდებელს. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ. როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა დაუშვებელი მტკიცებულებანი არ შეიძლება რომ დაედოს საფუძვლად სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს<sup>43</sup>.

პრეიდუციული მტკიცებულებანი არიან ისეთი მტკიცებულებანი რომელნიც გამოკვლევას არ საჭიროებენ ისინი ხომ კვლევის გარეშეც უტყუარ მტკიცებულებად მოიაზრებიან. მიუხედავად ამისა მხარეთა ინიციატივით სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიდუციურად დადგენილი ფაქტები, თუ ეს ფაქტები არსებით წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოში მხარეთა მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებათა გამოკვლეულ შედეგებთან.

---

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი გიორგი თუმანიშვილი, გვ.243-251

პრეიდუციულად დადგენილ მტკიცებულებებზე მოიაზრება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, განაჩენი ნასამართლეობაზე, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ის გარემოებები, თუ ფაქტები რომელზეც მხარეები თანხმდებიან.

მტკიცებულებად გამოიყენება საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩვენება. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და არა მოვალეობა, ბრალდებულის ჩვენებაში აისახება სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ბრალდებული იძლევა სასამართლოში. ბრალდებულს შეუძლია ჩვენების მიცემაზე თქვას უარი ან მისცეს ცრუ ჩვენება. ბრალდებულის მიერ მიცემული ცრუ ჩვენება დაუშვებელია შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდებულის აღიარება დაუშვებელია საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

ჩვენება რადგან არის მტკიცებულების ერთ-ერთი სახე მოწმეთა ჩვენებებს ენიჭებათ დიდი მნიშვნელობა შესაძლებელია მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე გამოძიებამ ააგოს სხვადასხვა თეორიები, მოწმეთა გამოკითხვისას თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან მოწმეს აქვს ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი, რაც მას უშლის ხელს სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღადგინოს ფაქტები ასეთი ჩვენება შეფასდება როგორც ირიბი ჩვენება. გარდა ამისა ერთი მოწმის მიერ მიცემულ რამოდენიმე ჩვენებაში, თუ მოდის რამოდენიმე არსებითი წინააღმდეგობა მხარემ უფლებამოსილია იშუამდგომლოს მოსამართლის წინაშე დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მოწმის ჩვენება მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა არ შეიძლება იგი ეფუძნებოდეს სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, მაგრამ თუ მოწმე მიუთითებს ინფორმაციის წყაროს და მოხდება ამ წყაროს ინდენტიფიცირება და წყარო რეალურია შესაძლებელია ასეთი ჩვენების

დასაშვებობა. მსგავს ჩვენებებს ეწოდება ირიბი ჩვენება და იგი დასაშვები მტკიცებულებაა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე თუ მხარე დაადასტურებს ირიბი ჩვენების ნამდვილობას სხვა ასეთი მტკიცებულებით, რომელიც არ იქნება ირიბი ჩვენება ან მისგან ნაწარმოები მტკიცებულება.

უდანაშაულობის პრეზუმციის არსიდან გამომდინარე ნივთიერი მტკიცებულება წარმოადგენს შედარებით კვლევის ნიმუშს, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს მისი ამოღების ადგილზე დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ნივთიერი მტკიცებულების ინდივიდუალური და გვარობითი ნიშნები, მახასიათებლები, მაჩვენებლები და რაობა. ლუქის მოხსნა და ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს ნებართვით და ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ნივთიერ მტკიცებულებათა შესწავლა და ავთენტიკურობის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს.

ნებისმიერი დოკუმენტი ნივთიერი მტკიცებულებაა თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია, თუ მხარე ვერ მოახერხებს მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/ შექმნა ან რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე დოკუმენტი ასეთი ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებელი იქნება. დოკუმენტი შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე თუ იგი შეუნაცვლებელია მის გარეშე საქმის სამართლიანად გადაწყვეტა ვერ მოხერხდება სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი ამოღებული იქნა გარკვეული საჭირო აღრიცხვისათვის, ანგარიშგებისათვის ან სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის შესაძლებელია დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს სამუდამოდ ან დროებით გამოსაყენებლად, თუ დოკუმენტის დედანი რომელიც იქნა ამოღებული არ არის საჭირო დედანის ფორმით და შესაძლებელია მისი ასლის გამოყენება სისხლის

სამართლის საქმის გამოძიების საქმის მსვლელობისას იმავე შედეგი დადოს რასაც დედანი დადებდა აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს<sup>44</sup>.

#### 4. მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთგაცვლის კრიტერიუმები

მტკიცებულება უნდა შეფასდეს საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და თანახმად და სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი უტყუარი ძალა გამამტყუნებელი განაჩენისათვის, რომელიც პირს დამნაშავედ ცნობს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რადგან გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურების სტანდარტი გულისხმობს მტკიცებულება უტყუარობას და სტანდარტს რომელიც კონსტიტუციურია.

სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ბრალდების მხარისაგან მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გაცნობის მიზნით, თუ ბრალდების მხარე უარს ეტყვის დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული იმ ინფორმაციის გადაცემის თაობაზე რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებს ბრალდების მხარე სასამართლოში. სისხლის სამართლის საქმის მოსამზადებელ სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ გადაუცემელი მტკიცებულება იქნება შეფასებული როგორც დაუშვებელი მტკიცებულება, რადგან ბრალდების მხარე ვალდებულია დაცვის მხარეს გადაცეს მის ხელთ არსებული ნებისმიერი მტკიცებულება თუნდაც ისინი ემსახურებოდეს ბრალდებულის გამართლებას. ბრალდების მხარესაც აქვს უფლება დაცვის მხარისაგან მიიღოს ინფორმაცია რომლის გამოყენებასაც აპირებს დაცვის მხარე. ნებისმიერი მხარის მიერ ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის უგულველყოფა

---

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.251-280

გამოიწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. მიუხედავად ამისა ბრალდების მხარემ შესაძლებელია შეზღუდოს ინფორმაციის გაცემა ისეთ მტკიცებულებებზე როგორცაა მაგალითად: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ან ფარული საგამომიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში, წინა სასამართლო სხდომამდე მოსამართლის განჩინების საფუძველზე რომელიც იქნება გამოტანილი პროკურატურის შუამდგომლობით სადაც დასაბუთებული იქნება მინიმუმ ის შედეგები რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის გამჟღავნებამ გამოძიების ეტაპზე. ასეთ შედეგებად მოიაზრება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში ხელის შეშლა, სამომავლოდ ამოსაღებ მტკიცებულებათა მოსპობის/განადგურების რეალური საფრთხე<sup>45</sup>.

## **5. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა**

საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის და თანახმად პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დადასტურდება რომ მისი დაპატიმრება აუცილებელია, პირს უნდა შეეფარდოს აღკვეთი ღონისძიების ის ფორმა, რომელიც იქნება ნაკლებად მკაცრი მაგრამ ეფექტური, რადგან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია ბრალდებულის გამოცხადება სასამართლოში და მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა. აღკვეთი ღონისძიების გამოყენებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საბოლოო განაჩენის აღსრულება უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს აღკვეთი ღონისძიების სახით, თუ აღკვეთი ღონისძიების მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთი ღონისძიების გამოყენებით.

---

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.287-306



აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობას საფუძვლად უნდა დაედოს ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიძალბა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, ან მოახერხებს რომ გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მტკიცებულებანი ან და ჩაიდინოს ახალი დანაშაული. აღკვეთი ღონისძიების შესახებ შუამდგომლობას წარადგენს პროკურორი და იგი ასაბუთებს მის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების მიზანშეწონილობას.

სასამართლო უფლება-მოსილია ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს თუ ზემოთ ნახსენები მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებისას აღკვეთი ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხს მოსამართლე წყვეტს ბრალდებულის პიროვნების, საქმიანობის, ასაკის, ჯანმრთელობის და ოჯახური მდგომარეობის, ფინანსური მდგომარეობის და მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გათვალისწინებით, მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს ის ფაქტები და გარემოებები, რომელიც ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთი ღონისძიების დარღვევისას დაფიქსირდა.

აღკვეთი ღონისძიების სახედ სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს:

- გირაო
- არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა
- შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ
- პირადი თავდებობა
- სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა
- პატიმრობა

აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად მოსამართლემ პირადი შეხედულებისამებრ.

## 6. თავისუფლების უფლების რეალიზება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

სსსსკ-ს მე-5 მუხლის გამოყენების მიზანს წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა და ბრალდებულის ხელშეუხებლობის და დაცვის უფლების ეფექტიანობის გაზრდა აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავს ბრალდებულის სტატუსს როგორც სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტს უდანაშაულობის პრეზუმციის მოქმედება იწყება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და გრძელდება მთელი პროცესის განმავლობაში (განაჩენის დადგენამდე) სასამართლო ვალდებულია პროცესი წარმართოს იმ რწმენით რომ ბრალდებული უდანაშაულოა. სისხლის სამართლებრივი დევნა წყდება ერთ-ერთი კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი. უდანაშაულობის პრეზუმცია ვრცელდება როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე მისი დაცვის ვალდებულება ეკისრება პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ბრალდების მხარეს, პროცესში მონაწილე ნებისმიერ პირს, მედიას, ხელისუფლების ნებისმიერი შტოს ნებისმიერ წარმომადგენელს, ნებისმიერ პირს ვისაც აქვს გარკვეული ცნობადობა, გავლენა და პატივისცემა საზოგადოებაში და ვის აზრსაც შეუძლია გავლენა იქონიოს პირის ღირსებაზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი ვალდებულია თავს იკავებდეს ისეთი საჯარო ან კულუარული განცხადებების გაკეთებისგან რომელიც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო განხილვის შედეგებზე.

ბრალდების მხარის ან პროცესში მონაწილეების თუ საზოგადოების სუბიექტური დამოკიდებულებების არსებობა ქმნის ბრალდებულის ირგვლივ დამნაშავეობრივ აურას სამართლებრივი მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს ამ სუბიექტურ დამოკიდებულებებს, მიუხედავად იმისა ბრალდებული აღიარებს თუ

არა ჩადენილ დანაშაულს ან არსებობს თუ არა მყარი მტკიცებულებები პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით<sup>46</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევის ფაქტი დგინდება ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ რამდენად რეალური და დასაბუთებული იყო ბრალდებულის შიში კონკრეტულ ვითარებაში. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე სისხლის სამართლის მიმდინარე წარმოებისას მედიამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს სასამართლოზე<sup>47</sup>. ბრალდებულის ირგვლივ ნეგატიური განწყობის შექმნა შესაძლებელია სასამართლოს უბიძგოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისაკენ.

საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე პროცესის მსვლელობისას შესაძლებელია დამთავრდეს ნეგატიურად თუ მითითებულია ბრალდებულის ვინაობა და გამოქვეყნებულია ბრალდებულის ფოტოსურათი. სასამართლო ვალდებულია სიფრთხილე იქონიოს პრესასთან მიმდინარე სამართალწარმოების კომენტირებისას, რათა თავიდან აცილებულ იქნას პროვოკაციის და წაქეზების შემთხვევები<sup>48</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმცია დარღვეულად ითვლება როდესაც თანამდებობის პირები აკეთებენ ბრალდების შემცველ განცხადებებს მაშინ როდესაც ბრალი დაუდასტურებელია, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ამნისტიის თაობაზე ან ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობებზე. დაუშვებელია მოსამართლის მხრიდან ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ განცხადებების გაკეთება განაჩენის გამოტანამდე<sup>49</sup>.

---

<sup>46</sup> Sekanina v Austria, ECtHR, 25/08/1993, N30.

<sup>47</sup> Wloch v Poland, ECtHR, 19/10/2000. Daktaras v Lithuania, ECtHR, 11/01/2000; Mustafa (Abu Hamza) v the United Kingdom, ECtHR, 18/01/2011, §§37-40

<sup>48</sup> Buscemi v Italy, ECtHR, 16/09/1999, §67

<sup>49</sup> Lavents v. Latvia, ECtHR, 28/11/2002 (58442/00)

დაკავებულის სასამართლო დარბაზში შუშით შემოღობილ სივრცეშიც მოთავსებამაც კი შესაძლებელია ბრალდებულის ირგვლივ შექმნას დამნაშავეობითი აღქმა რადგან აღნიშნულმა ფაქტმა შესაძლებელია შეზღუდოს ადვოკატთან კომუნიკაციის შესაძლებლობა პროცესის მსვლელობის მომენტში რაც გამოჩნდება დამსწრე საზოგადოების თვალში როგორც მომატებული საფრთხის შეფასება.

არსებობს გამონაკლისებიც, უდანაშაულობის პრეზუმცია არ გამორიცხავს და არ კრძალავს საგამოძიებო თეორიებისა და ვარაუდების არსებობას, მაგრამ პრეზუმციის შინაარსი უნდა იყოს აუცილებლად სწორად გაგებული, რადგან პრეზუმციის შინაარსი და მოქმედების ფარგლები მკაცრად არის განსაზღვრული მიუხედავად ამისა დაცვის მიზნების განსახორციელებლად შესაძლებელია პრეზუმციის უკუგდებაც უდანაშაულობის პრეზუმციის რეალიზების პრობლემა რომ არ შეიქმნას ქართულ სისხლის სამართლის წარმოებაში აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. სახეზე უნდა გვექონდეს დანაშაულის ძირითადი ნიშნები:

- ხერხი
- მიზანი
- მოტივი
- ზიანის განსაზღვრება
- შედეგი და სხვა

ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დადგენა უმნიშვნელოვანესია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის და სასჯელის ფორმის/ზომის გამოყენებისას.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცების ტვირთი სსსკ-ს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ეკისრება ბრალდების მხარეს ეს წესი მოქმედებს მხოლოდ

პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო/საკასაციო სასამართლოებში მტკიცების ტვირთი გადადის მოსარჩელე მხარეზე არ აქვს მნიშვნელობა ეს ბრალმდებელი იქნება თუ ბრალდებული. ბრალდების ტვირთის განაწილების ორ სახეს იცნობს ქართული სისხლის საპროცესო სამართალი:

1. მტკიცების ტვირთი ეკისრება საპროცესო/საგამომიებო მოქმედების ინიციატორ მხარეს ( მაგ: საპროცესო სასამართლოში განაჩენის გასაჩივრებისას აპელნტს აკისრია განაჩენის დაუსაბუთებლობის ან უკანონობის მტკიცების ტვირთი)
2. ბრალდებულის დამნაშავეობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, რაც გამოიხატება ამ ვალდებულებაში ბრალდებულის მიერ დანაშაული ჩადენა დანაშაულებრივი ქმედების არსებობა ბრალდებულის ბრალეულობა და დაცვის მხარის მოსაზრებების დაუშვებლობა, მართალია ბრალდებული არ არის ვალდებული მოიძიოს ან წარმოადგინოს დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობის უარყოფელი მტკიცებულებები, მაგრამ ვალდებულია კვალიფიციურად და დასაბუთებულად დაიცვას თავი და ამტკიცოს ბრალდების მხარის მოსაზრებების სიმცდარე. ამავდროულად დაცვის მხარე თუ ამტკიცებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაუშვებელია ბრალდების მხარეს ამის უარყოფაც ევალება.

უდანაშაულობის პრეზუმციიდან გამომდინარე ბრალდებულს აკისრია გარკვეული უფლება-მოვალეობანი ერთ-ერთი ასეთი უფლება არის კვალიფიციური დაცვის უფლება. დაცვის უფლების განხორციელებისას ორ ძირითად სახეს გამოყოფენ:

1. პროაქტიური დაცვა - ბრალდებული აქტიურად მონაწილეობს გამამართლებელი მტკიცებულებების მოძიების და წარმოდგენის პროცესში.

2. პასიური დაცვა - დაცვის მხარის სტრატეგია აგებულია ბრალდების მტკიცებულებების დაუშვებლობაზე.

ბრალდებულს არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ეკისრება მტკიცების შემხვედრი მოვალეობა, რაც მოიაზრება იმაში, რომ მან უნდა მისცეს ახსნა-განმარტება ზოგიერთ გარემოებასთან დაკავშირებით<sup>50</sup>.

ბრალდებულის პასიურობა პროცესში ვერ იქნება გამოყენებული მის წინააღმდეგ, მაგრამ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე თუ სრულყოფილად არ განხორციელდა ბრალდებულის უფლებების დაცვა მაღალი რისკია იმისა რომ გამოტანილი განაჩენი იყოს არასახარბიელო.

ადვოკატი ვალდებულია სულ მცირე, რომ ამტკიცოს ბრალდებულის უდანაშაულობა ან ნაკლებ ბრალეულობა, ასევე წარმოადგინოს კლიენტის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

უდანაშაულობის პრეზუმცია არ არის აბსოლიტური უფლება და შესაძლებელია შეიზღუდოს იგი, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან სამართლის ბალანსი, უნდა დაიცვან პირის უფლება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას არამართლზომიერი ან თვითნებური თავისუფლების შეზღუდვისაგან<sup>51</sup>.

ადამიანის თავისუფლება მოიაზრება პირის ფიზიკური გადაადგილების და ადგილსამყოფელის თავისუფალი არჩევანის გამოხატვაში. მაგალითად: ნებისმიერ პირს შეუძლია თავისუფლად მივიდეს პოლიციის განყოფილებაში გამოძიებაში დახმარების მიზნით, ეს არ გულისხმობს იმას რომ პირს უეჭველად აღეკვეთება თავისუფლება, რადგან თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს თანხმობის

---

<sup>50</sup> John Murray v UK, 08/02/1996, ECtHR, (GC), §54

<sup>51</sup> Jessop v New Zealand, #1758/2008 §7.9-7.10, CCPR/C/GC/35, General Comment No:35\_ Article 9, (Liberty and Security of Person), UN HR Committee, 28/10/2014.

არარსებობას. თავისუფლება ადამიანს ეზღუდება ნების წინააღმდეგ განსაზღვრულ და შეზღუდულ ადგილას გარკვეული დროის მონაკვეთში მოთავსებით.

სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას, მაგალითად: სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირის თავისუფლების უფლების ხელშეუხებლობა. თავისუფლების პრეზუმცია გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და მინიმალური ხანგრძლივობით მაღალი საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში.

თავისუფლების პრეზუმცია იმპერატიული ხასიათის ნორმაა, რაც გულისხმობს იმას რომ იგი ყოველთვის თავისუფლების უფლების სასარგებლოდ არსებობს. ამიტომ პირის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება ყოველთვის და აუცილებლად გამოიყენება მხოლოდ აბსოლიტური აუცილებლობის არსებობისას<sup>52</sup>.

თავისუფლების აღკვეთა თვითნებურია, თუ იგი შეუსაბამობის უსამართლობის და წინდაუხედავობის არარსებობის ელემენტებს მოიცავს<sup>53</sup>. თუ თავისუფლების შეზღუდვა თვითნებურია, მაგრამ დაცულია საპროცესო მოთხოვნები ამ დროს თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ უნდა იყოს მაქსიმალურად მცირე ვადით-პერიოდული გადამოწმებით გონივრული ინტერესების დასაცავად.

საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულია თავისუფლების უფლება და უკანონო შეზღუდვისგან დაცვის რეალური შესაძლებლობები თავისუფლების

---

<sup>52</sup> Storck v Germany, ECtHR, 16/06/2005, §74

<sup>53</sup> OSCE/ODIHR, sasamarTlo procesis monitoringis angariSi. saqarTvelo. 09/12/2014, §140.

აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით<sup>54</sup>.

ზემოთ აღნიშნული თემა კარგად აქვს თავის ნაშრომში განხილული პროფესორ ლალი ფაფიაშვილს, რომელიც ასევე შემადგენელი ნაწილი არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2015 წლის კომენტარებისა<sup>55</sup>.

## 7. ბრალდებულისა და ადვოკატის როლი პროცესის მსვლელობისას

ბრალდებულად ცნობის თანავე ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს ის, თუ რაში ედება ბრალი და უნდა გადაეცეს დადგენილება ბრალდების შესახებ. ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მას თავის უფლებებზე, კერძოდ ადვოკატის ყოლის უფლებაზე, დუმილის უფლებაზე და იმაზე, რომ მას აქვს უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, დაკავების თანავე ბრალდებულმა უნდა მიიღოს უფასო სამედიცინოს შემოწმება დაკავების ადგილზე გადაყვანისას, თუ ბრალდებულის მოძიება ვერ ხერხდება ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი უნდა გადაეცეს მის ადვოკატს რათა ბრალი წაყენებულად ჩაითვალოს. ბრალდებულს შეუძლია გამოიყენოს დუმილის უფლება, რაც არ შეფასდება მისი ბრალეულობის დამამტკიცებელ მტკიცებულებად. ბრალდებულს შეუძლია აირჩიოს ადვოკატი, ნებისმიერ დროს შეცვალოს, დაინიშნოს ახალი ადვოკატი და თუ არ აქვს მას ამისი ფინანსური საშუალება სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნება მას სახაზინო ადვოკატი. ბრალდებულს აქვს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად მიუხედავად იმისა იქნება თუ არა სახაზინო ადვოკატი საქმეში ჩართული ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა კონფიდენციალურია,

---

<sup>54</sup> CCPR/C/GC/35, General Comment No35\_Article 9 (liberty and Security of Person) UNHCR, IV-32; 28/10/2014, §8.9.

<sup>55</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.49-59



ბრალდებულს შეუძლია დაიცვას თავი დამოუკიდებლად თუ მას გააჩნია სათანადო იურიდიული განათლება, ბრალდებულს შეუძლია ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება საკუთარი ან ადვოკატის ჩართულობით მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში ბრალდებულს შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის სათანადოდ მან პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი რომელიც თარჯიმნის გარეშე კომუნიკაციას გამორიცხავს ( მაგ: არის ყრუ-მუნჯი). ბრალდებულს უფლება აქვს სახელმწიფო ხარჯით ჩატარებულ უფასო სამედიცინო შემოწმებასთან ერთად მიიღოს საკუთარი ხარჯით დაუყოვნებლივი სამედიცინო მომსახურება სასურველ სპეციალისტთან. ბრალდებულს უფლება აქვს დაკავება-დაპატიმრების შემთხვევაში ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს აღნიშნული ფაქტი და მისი ადგილსამყოფელი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა. ბრალდებულს მოთხოვნის შემთხვევაში აუნაზღაურდება უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი. ბრალდებულს არ შეეფარდება აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა თუ არ იარსებებს რისკები იმისა რომ იგი მიიძალდება ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, მოწმეზე მოახდენს ზემოქმედებას, გაანადგურებს პტკიცებულებებს ან განაჩენის აღსრულებას შეუძლის ხელს, ბრალდებულს უფლება აქვს დაუყოვნებლივ და მოთხოვნის თანავე გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს ბრალდებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის გამოძიებაში უშუალოდ ან დისტანციურად ( ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) ბრალდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს გამომძიებლის ან პროკურორის როგორც ქმედებანი და გადაწყვეტილებანი ასევე უმოქმედობა. ბრალდებულს უფლება აქვს მიიღოს უშუალო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში ისეთებში როგორებიც არის მაგალითად: ჩხრეკა-ამოღება და სხვა. ბრალდებულს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით ან სახელმწიფოს ხარჯზე თუ მას არ გააჩნია შესაბამისი ხარჯები მოიპოვოს მტკიცებულებანი ბრალდებულს შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში, თუ საჭიროა ისეთი

მოქმედებები რომლის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს ან გამომძიებელს ბრალდებულმა შეიძლება მიმართოს სასამართლოს და სასამართლო განჩინების საფუძველზე მოიპოვოს ან გამოითხოვოს ნებისმიერი მტკიცებულება საჭირო ადგილიდან.

ბრალდებულს სასამართლო პროცესზე დასწრება შეეზღუდება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ისეთებში როგორებიც არის მაგალითად:

- მოწმის დაკითხვის დროს თუ გამოიყენება მოწმის დაცვის რომელიმე სპეციალური ღონისძიება.
- თუ ბრალდებული უარს განაცხადებს ან არასაკატიო მიზეზით არ დაესწრება ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედებას.
- თუ ადვოკატი საკატიო მიზეზით ვერ მიიღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამომძიებო მოქმედებაში მაგრამ პროკურორი ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ჩაატაროს ეს საგამომძიებო მოქმედება ( მაგალითად ჩასატარებელია ექსპერტიზა დაუყოვნებლივ მალფუჭებად ნივთიერ მტკიცებულებებზე).

## **თავი VI. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომენტარები უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულთა უფლებაა. იგი გამოცალკევებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებისაგან და იცავს იდვიდუალებად პირებს, რომელთა გარშემოც არებობს გონივრული ეჭვი. სწორედ, აქედან გამომდინარე, ისინი ითვლებიან უდანაშაულოდ მანამ, სანამ მათ მიმართ წარმოშობილი გონივრული ეჭვი არ

დამტკიცდება ერთმანეთთან შეთანხმებული და უტყუარი მტკიცებულებებით. უდანაშაულობის პრეზუმფცია არის გარანტია, რომელიც ვრცელდება სისხლისსამართლებრივ დავებზე და ამ დავებში ჩართულ ექვმიტანილ ინდივიდებზე. გარანტია არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში ჩართულ და მონაწილე ისეთ ბრალდებულ სუბიექტებზე, რომელნიც შეიძლება იყვნენ დაკავებული არა ბრალის წაყენების მიზნით, არამედ სხვა მიზეზებით, მაგალითად ექსტრადაციისათვის მოსამზადებლად.<sup>56</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფცია ინდივიდს იცავს მანამ, სანამ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. უდანაშაულობის პრეზუმფციის გავრცელების ფარგლებია პირის ექვმიტანილად ცნობის მომენტი პროცესის დასრულებამდე. აღსანიშნავია, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება სააპელაციო/საკასაციო სამართალწარმოების პერიოდშიც, თუნდაც პირველ ინსტანციას პირი ბრალდებულად ეცნო და დაედო მისთვის მსჯავრი.

აპელაცია/კასაციის სამართალწარმოებაში საქმის განმხილველი თითოეული მოსამართლე თუ სასამართლოს ნებისმიერი წევრი ვალდებულია პატივს სცემდეს უდანაშაულობის პრეზუმფციას. სწორედ ამიტომ, თუ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ჰქონდა ადგილი - მოსამართლეთა სუბიექტურობის და მიუკერძოებლობის ჭრილში, წყვეტს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტის გამოძიებას და პირდაპირ ადგენს, რომ თუ მოსამართლე იყო სუბიექტური და მიკერძოებული, მაშასადამე, დარღვეულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლება - უდანაშაულობის პრეზუმფცია.<sup>57</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს უდანაშაულობის პრინციპი. უდანაშაულობის პრინციპის თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრება

---

<sup>56</sup> Harris/O'Boyle/Warbrick, p. 299.

<sup>57</sup> ECtHR, 15/12/2005 (GC), Kyprianou v CYP, No. 73797/01, § 136 et seq;

ბრალდების მხარეს. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპი მეტად ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას და ნებისმიერი ვარაუდი წყდება მის სასარგებლოდ.<sup>58</sup> ბრალდების მხარე არის ვალდებული მტკიცებულებათა მოპოვებასა და ბრალეულობის დამტკიცებაზე. ბრალდებულის ვალდებულება არ არის და არც შეიძლება იყოს საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებისა.

ბრალდებულთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებას კრძალავს მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი, რადგან განცხადებები, რომელნიც გამოხატავს მოსაზრებას, რომ ბრალდებული დამნაშავეა, არის პრეზუმფციის გარანტიის პირდაპირი დამრღვევი. აღნიშნული განცხადებების გაკეთება იკრძალება როგორც წინასასამართლო, ასევე სისხლისსამართალწარმოების ეტაპზეც.<sup>59</sup>

საქმეებზე, რომელიც მაღალი ინტერესის ობიექტია, პოლიციისა და ბრალდების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომელიც ბრალდების შემცველია, ახდენს გავლენას და მათი მხრიდან განცხადებების დაუფიქრებელი გაკეთება ემსგავსება საცალფეხო ბილიკზე ორი ფეხით სიარულს, რადგან შესაძლებელია მოსახლეობის აზრმა გავლენა იქონიოს მოსამართლესა თუ ნაფიც მსაჯულებზე. ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ჩაითვლება, თუ დადგინდება, რომ იგი აკეთებდა განცხადებებს სადავო კონტექსტებში.<sup>60</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის შესახებ განცხადების გაკეთება გამართლებულია, თუ არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი და განცხადების გაკეთებისას გამოყენებული ლექსიკა ფრთხილად არის შერჩეული.

---

<sup>58</sup> ECtHR, 6/12/1988, Barbera, Messegue a. Jabardo v ESP, No. 10590/83, § 77; ECtHR, 24/7/2008, Melich a. Beck v CZE, No. 35450/04, § 49;

<sup>59</sup> ECtHR, 12/7/1988, Schenk v SUI, No. 10862/84, § 51; ECtHR, 29/5/2012, Shuvalov v EST, No. 39820/08 et al, § 75; Harris/O'Boyle/Warbrick, p. 303.

<sup>60</sup> ECtHR, 10/10/2000, Daktaras v LIT, No. 42095/98, §§ 41 et seq; ECtHR, 28/10/2004, Y.B. a. o. v TUR, No. 48173/99, §§ 44 et seq.

მედიის საშუალებით ინფორმაციის გაშუქებისას ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული ინფორმაცია უნდა იყოს გამიჯნული გამოძიების შესახებ არსებული ინფორმაციისაგან, საბრალდებო ოქმებსა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციისაგან, რათა არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია მედიის მიერ, რადგან მედიის ქმედებანი არ არის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი და სახელმწიფო ვერ იქნება პასუხისმგებელი მედიის ქმედებებზე.

სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებელია იმაზე, რომ იღონოს ნებისმიერი რამ, რომ თავიდან აიცილოს სისხლისსამართალწარმოებისას მედიისა და საზოგადოების მიერ წინასწარ გადაწყვეტილების გამოტანა. აღნიშნული ქმედება არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და პოზიტიური ვალდებულება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მედიის მხრიდან სიახლეების გაშუქების ობიექტურობა, რათა თავიდან იყოს აცილებული წინასწარ გადაწყვეტილების გამოტანა.

სტრასბურგის სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა დაადგინა ბევრ ისეთ საქმეზე, სადაც პირი გამართლდა „მტკიცებულებების ნაკლებობის“ გამო, მაგრამ მის მიმართ იყო გაკეთებული არაერთი ბრალდების შემცველი განცხადება ბრალდების მხარისა თუ სხვა სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ.

საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა არ გამორიცხავს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მაშინ, როდესაც ზოგიერთი საკითხი საჭიროებს განცალკევებულ სამართლებრივ შეფასებას, მაგ.: კომპენსაციის გადახდის საჭიროებას, თუ საქმის განხილვა ეუძნება იმ კრიტერიუმსა და მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეფასებისგან განსხვავებულია. მაგრამ თუ კომპენსაციის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება შეიცავს მტკიცებულებას, რომლითაც მოპასუხე მხარეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებს, ასეთ

შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის დარღვევა.<sup>61</sup>

ევროპულმა სასამართლომ სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსამარტად შეიმუშავა ინდივიდუალური მიდგომა. კერძოდ, შემოიღო სამკრიტერიუმიაანი შესაფასების სისტემა:<sup>62</sup>

1. ეროვნული კლასიფიკაცია - აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობით ქმედება კვალიფიცირდებოდეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და იგი უნდა ექვემდებარებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განხილვას.
2. სამართალდარღვევის ხასიათი - სიტუაცია არ უნდა ეხებოდეს პირთა კონკრეტულ ჯგუფს, გამოყენებული სანქცია არ უნდა იყოს დისკრიპლინური და უნდა ემსახურებოდეს სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების განხორციელებას.
3. დაკისრებული სასჯელის სიმკაცრე - სასჯელის ზომა არ უნდა იყოს შედასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტზე მეტი ან ნაკლები. სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის საპირწონე და სასჯელის მისჯის მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს დამნაშავის დასჯა. სასჯელის მიზანი უნდა იყოს დამნაშავის მხრიდან ქმედითი მონაწილის შესაძლებლობის რეალიზება, მისი „გამოსწორება“, რესოციალიზაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნების რეალური შესაძლებლობა.

ევროპული სასამართლო ასევე განმარტავს ტერმინებს:

---

<sup>61</sup> ECtHR, 11/2/2003, Y. v NOR, No. 56568/00, §§ 42 et seq; ECtHR, 15/5/2008, Orr v NOR, No. 31283/04, § 51.

<sup>62</sup> Deweer v. Belgium 1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სასამართლო დამოუკიდებლობა: ეროვნული სასამართლო დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან<sup>63</sup>, თუ:

- სასამართლოს წევრები ინიშნებიან ღია, საჯარო და სამართლიანი სელექციური გადასინჯვის მეთოდებით;
- მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის ვადები რელევანტურია;
- დანიშნული მოსამართლეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა მყარია (არ ექცევიან ზეგავლენის ქვეშ ადვილად);
- სასამართლოთა მხრიდან ხდება დამოუკიდებლობის აქტიური გამომჟღავნება.

სასამართლოს მიუკერძოვებლობა: სასამართლო მოუკერძოებელია (სუბიექტური და ობიექტური ტესტებით დგინდება აღნიშნული), თუ:

- სასამართლოს თითოეული წევრს ქცევა მიუკერძოებელია;
- მოსამართლე უნდა სარგებლობდეს მიუკერძოებლობის აუცილებელი ხარისხით.

მაგალითად, საქმეში Ferrantelli and Santangelo v. Italy ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი, რადგან სააპელაციო კოლეგიის თავმჯდომარემ, რომელიც იხილავდა სააპელაციო საჩივარს, მონაწილეობა მიიღო განმცხადებლის მიერ ჩადენილი ქმედების თანამონაწილის მსჯავრდებაში, რა დროსაც მოსამართლემ მიიღო არაერთი პირდაპირი მინიშნება განმცხადებლის ბრალეულობაზე და სწორედ ამიტომ გამოიტანა აპელანტის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილება. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, სახეზე იყო სასამართლოს მიუკერძოვებლობის, კერძოდ მოსამართლის მიუკერძოვებლობის აუცილებელი ხარისხის დარღვევის ფაქტი.<sup>64</sup>

<sup>63</sup> Ringeisen v. Austria 1971 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება.

<sup>64</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, ავტ: ბონაშვილი ბ., რედ. ხუციშილი ქ.; გვ. 239;

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის ეფექტური რეალიზებისათვის საჭიროა, რომ სამართლებრივი საშუალებები იყოს თანასწორი.

სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობაში იგულისხმება შემდეგი: სისხლის სამართლის პროცესის სამართალწარმოების პროცესში მხარეებს ეძლევათ გონივრული შესაძლებლობები, საქმესთან დაკავშირებით არგუმენტაციის წარმოდგენის მიზნით, რათა ადგილი არ ჰქონდეს არსებით უთანასწორობას. აღნიშნულის მოსაგვარებლად კი საჭიროა შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპის დაცვას და მხარეთა შესაძლებლობების დაბალანსებას,<sup>65</sup> რასაც მივყავართ შეჯიბრებითობის პრინციპამდე.

შეჯიბრებითობის პრინციპი კი სტრასბურგის სასამართლოს განმარტების თანახმად არის შანსი, რომელიც მხარეებს ეძლევათ იცნობდნენ საქმეს სათანადოდ და აკეთებდნენ შესაბამის კომენტარებს მტკიცებულებათა თაობაზე.<sup>66</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე განმარტავს დაცვის მხარისათვის დაცვის მოსამზადებლად მისანიჭებელი ვადის გონივრულობასაც.

გონივრულია ვადა, თუ ის საჭიროა სათანადო დაცვის მოსამზადებლად ან ბრალის სათანადოდ დასადებად, მაგრამ ამ ვადის გახანგრძლივება მიზნად არ ისახავს სამართალწარმოების გაჭიანურებას. მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს გაჭიანურების გარეშე, რათა ზიანი არ მიადგეს მართლმსაჯულების ეფექტურობას და სარწმუნოებას. გონივრული ვადის დანიშნულება არის

---

<sup>65</sup> Ruiz Mateos v. Spain;

<sup>66</sup> Van Orshoven v. Belgium 1997 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.



უზურუნველყოფა იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი და კანონიერი.<sup>67</sup>

გონივრული ვადის ასათვლელად აუცილებელია, რომ გათვალისწინებულ იქნას:

1. განსახილველი საქმის სირთულე - ფასდება არსებული ფაქტორები (საქმის სირთულე/ფაქტების სიმრავლე/სამართლებრივი საკითხები);
2. განმცხადებლის ქმედებები და ქცევა - სამართალწარმოების გაჭიანურება ხომ არ გაჭიანურდა განმცხადებლის მიზეზით, მოქმედებით/უმოქმედობით;
3. სახელმწიფოსა და სახელმწიფო ორგანოების ქმედებები და რეაქციები - სახელმწიფო ან მართლმსაჯულების სისტემა აჭიანურებს თუ არა საქმის განხილვას ან მართლმსაჯულების აღსრულებას.<sup>68</sup>

სტრასბურგის სასამართლომ ასევე განმარტა დასაბუთებული განაჩენის უფლებაც. დასაბუთებული განაჩენი არის: მკაფიოდ, ნათლად და ჯეროვნად ჩამოყალიბებული მიზეზთა და აზრთა ერთობლიობა, რომელიც შესაბამისია შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობისა, კანონიერი და სამართლიანია.<sup>69</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე გვთავაზობს მტკიცებულებათა დასაშვებობის მისეულ კრიტერიუმებს. მათი განცხადებით, საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა შეფასება რეგულირდება ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობით. სტრასბურგის სასამართლო აკეთებს მკაფიო განცხადებას მხოლოდ იმაზე, რომ არსებითად დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები არის უცილობლად ბათილი და არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებულ

---

<sup>67</sup> Scopelliti v. Italy 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება;

<sup>68</sup> Buchholz v. the Federal Republic of Germany 1981 წლის 6 მაისი გადაწყვეტილება;

<sup>69</sup> Milasi v. Italy 1987 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.

მტკიცეულებათა გამოყენება სისხლის სამართლის საქმის პროცესის მსვლელობისას ბრალის დასადებად კატეგორიულად დაუშვებელია.<sup>70</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს სწორედ რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ექვეფტურობას და რეალიზების პრაქტიკულ შესაძლებლობას. ის ეხება ყველას და ყველაფერს, რასაც კი შეუძლია გავლენა იქონიოს ეჭვმიტანილის/ბრლდებულის არსებულ მდგომარეობაზე და მომავალზე. იგი, მართალია, სულ ერთი პატარა წინადადებაა, მაგრამ ეს წინადადება არის სწორედ რომ გარანტია და დაცვის წინა ხაზი. ის იცავს ადამიანს და მის მომავალს და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას.<sup>71</sup>

## დასკვნა

კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

საერთაშორისო აქტებში თითქმის რომ იდენტური, მარტივი და ერთი შეხედვით ლაკონურია უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც უფლება, მაგრამ თითოეულ მათგანში, თითოეულ სიტყვასა თუ წინადადებაში ღრმა და ყოველისმომცველი აზრია ჩადებული;

მედიის როლი პროცესის მსვლელობაზე - მედიის კონტროლი დაუშვებელია, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანის უფლებათა დასაცავად და უდანაშაულობის პრეზუმფციისაგან თავდასაცავად, შეზღუდოს არამც თუ მედია, არამედ ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თავად არიან წყარო და ავრცელებენ ინფორმაციას.

---

<sup>70</sup> Van Mechelen and Others v. the Netherlands 1997 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება;

<sup>71</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, ავტ.: ბონაშვილი ბ., რედ. ხუციშილი ქ.; გვ. 246-247.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია სრულყოფილად არის ხორცმესხმული საკანონმდებლო დონეზე, მაგრამ თუ ჩვენ, თავად ადამიანები, არ დავიცავთ სხვათა უფლებას ისე, როგორც საკუთარს, არ ვცემთ პატივს სხვის ღირსებას და არ მოვექცევით სხვას ისე, როგორც გვინდა რომ მოგვექცნენ ჩვენ თავად, ნაწერი მხოლოდ ნაწერად დარჩება. ყველაფერი დამოკიდებულებაა ჩვენზე, ადამიანებზე და იმაზე, თუ რაოდენ პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ თითოეულ ჩვენს სიტყვას, საქციელს თუ ნამოქმედარს.

ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი სასამართლო სისტემა გვექნება და ხალხი, როგორც ერთი მთლიანი, ვალდებულნი ვართ, მოვუფრთხილდეთ და დავიცვათ სხვათა უფლებები, რათა ჩვენს მიერ დანგრეული სისტემის მსხვერპლნი თავად არ გავხდეთ. კარგი იქნებოდა, სავალდებულო ხასიათს ატარებდეს უდანაშაულობისა და თავისუფლების უფლების დაცვა და შემზღვეველი მექანიზმები არ არსებობდეს, მაგრამ საზოგადოებრივი მიზნების განხორციელება სწორედაც რომ მსხვერპლს მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა სისხლის სამართლის პროცესის გამჭვირვალედ, სამართლიანად და ეფექტურად წარსამართად. ნაშრომზე მუშაობისას, სხვადასხვა წყაროს გაცნობისას, თითქმის ყველგან წავაწყდი ერთ მარტივ ჭეშმარიტებას, რომელიც აქამდეც კარგად მესმოდა, როგორც ადამიანს, როგორც მოქალაქეს - უდანაშაულობის პრეზუმფცია არის გარანტია და მექანიზმი, რომელიც იცავს თითოეულ მოქალაქეს უსამართლობისა და ღირსების შელახვისაგან და თუ ის დაირღვევა, ღირებულებები და პრინციპები, რაზეც ქართული სისხლის სამართალი დგას, თავზე ჩამოგვექცევა.

მიხარია, რომ ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელმაც ბნელ 90-იანებში გაითვალისწინა ევროპის საბჭოს არაერთი რეკომენდაცია და გახდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე. ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არის გერმანული და

ამერიკული პროცესის ჰიბრიდი. მატერიალური კუთხით თუ მივუდგებით, ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი გერმანული კოდექსის მსგავსია, აი საპროცესო კანონმდებლობას კი ამერიკულს ჰგავს.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ხომ ქართულად თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას ნიშნავს და მას ღირსეული ადგილი უკავია ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

## ბიბლიოგრაფია

### 1. ნორმატიული მასალა

1. UDHR, მუხ. 11(1)
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მუხ. 14(2)
3. ECHR, მუხ. 6(2)
4. ACHR, მუხლი 8(2)
5. ACHPR, მუხლი 7(1)(b)
6. CIS – მუხლი 6(2); AL – მუხ. 66
7. 1789 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ, მუხ. 15
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხ. 7
9. U.S.A Constitution, Article V (Amendment 5 - Rights of Persons)
10. U.S.A Constitution, Article VI (Amendment 6 - Rights of Accused in Criminal Prosecutions)
11. U.S.A Constitution, Article XIV (1) (Amendment 14 - Rights Guaranteed: Privileges and Immunities of Citizenship, Due Process, and Equal Protection)
12. Code de procédure pénale, article préliminaire (in French)
13. Code de procédure pénale, article 304 (in French)

14. Canadian Charter of Rights and Freedoms, section 11(d)
15. Canadian Bill of Rights S.C. 1960, c. 44 Assented to 1960-08-10 PART I Bill of Rights  
Recognition and declaration of rights and freedoms 1 (a)
16. КОНСТИТУЦИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, С. 49
17. Iraq's constitution 2005 Chapter Two: Freedoms Article 37 First B
18. Constitution of the Italian Republic, Art. 27;
19. Constitution of the Republic of South Africa, 1996 - Chapter 2: Bill of Rights, 35.  
Arrested, detained and accused persons

## 2. სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/548-ვებ. გვერდი, 04.02.2015;
2. The Presumption of Guilt in the Investigation of Tax Evasion Crimes, Juridical Tribune, Vol. 8, Issue 1 (March 2018), p. 33
3. Sekanina v Austria, ECtHR, 25/08/1993, N30.
4. Wloch v Poland, ECtHR, 19/10/2000. Daktaras v Lithuania, ECtHR, 11/01/2000; Mustafa (Abu Hamza) v the United Kingdom, ECtHR, 18/01/2011, §§37-40
5. Buscemi v Italy, ECtHR, 16/09/1999, §67
6. Lavents v. Latvia, ECtHR, 28/11/2002 (58442/00)
7. John Murray v UK, 08/02/1996, ECtHR, (GC), §54
8. Jessop v New Zealand, #1758/2008 §7.9-7.10, CCPR/C/GC/35, General Comment No:35\_ Article 9, (Liberty and Security of Person), UN HR Committee, 28/10/2014.
9. Storck v Germany, ECtHR, 16/06/2005, §74
10. OSCE/ODIHR, sasamarTlo procesis monitoringis angariSi. saqarTvelo. 09/12/2014, §140.

11. CCPR/C/GC/35, General Comment No35\_Article 9 (liberty and Security of Person)  
UNHCR, IV-32; 28/10/2014, §8.9.
12. Harris/O'Boyle/Warbrick, p. 299.
13. ECtHR, 15/12/2005 (GC), Kyprianou v CYP, No. 73797/01, § 136 et seq;
14. ECtHR, 6/12/1988, Barbera, Messegue a. Jabardo v ESP, No. 10590/83, § 77; ECtHR, 24/7/2008, Melich a. Beck v CZE, No. 35450/04, § 49;
15. ECtHR, 12/7/1988, Schenk v SUI, No. 10862/84, § 51; ECtHR, 29/5/2012, Shuvalov v EST, No. 39820/08 et al, § 75; Harris/O'Boyle/Warbrick, p. 303.
16. ECtHR, 10/10/2000, Daktaras v LIT, No. 42095/98, §§ 41 et seq; ECtHR, 28/10/2004, Y.B. a. o. v TUR, No. 48173/99, §§ 44 et seq.
17. ECtHR, 11/2/2003, Y. v NOR, No. 56568/00, §§ 42 et seq; ECtHR, 15/5/2008, Orr v NOR, No. 31283/04, § 51.
18. Deweer v. Belgium 1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.
19. Ringeisen v. Austria 1971 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება.
20. Ruiz Mateos v. Spain;
21. Van Orshoven v. Belgium 1997 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.
22. Scopelliti v. Italy 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება;
23. Buchholz v. the Federal Republic of Germany 1981 წლის 6 მაისი გადაწყვეტილება;
24. Milasi v. Italy 1987 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.
25. Van Mechelen and Others v. the Netherlands 1997 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება

### 3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 33.

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 499.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 203;
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 744.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 159-175
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 744.
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, რედ: გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 744-747.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 159-175.
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 112-127.

10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი გიორგი თუმანიშვილი, გვ.243-251
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.251-280
12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.287-306
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.558-574
14. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ. რედ: გიორგი გიორგაძე, კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, გვ.49-59
15. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რედ.: გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ. 176-204.
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, ავტ: ბოხაშვილი ბ., რედ. ხუციშვილი ქ.; გვ. 239
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, ავტ.: ბოხაშვილი ბ., რედ. ხუციშვილი ქ.; გვ. 246-247.
18. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007
19. ლომსაძე მ, სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოცემა, თბ., 2016;
20. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013;



21. ნადარეიშვილი გ, ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, თბ., 1986;
22. სისხლის სამართლის პროცესი,ზოგადი ნაწილი, გოგშელიძე რ., რედ., თბ., 2008;
23. თუმანიშვილი გ, სისხლის სამართლის პროცესი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
24. სამოსამართლო სწავლების ცენტრი; კონსტანტინე კორკელია; ირინე ქურდაძე ; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით; თბილისი 2004 წელი
25. გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით; სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები); თბილისი 2017 წელი; რედ: კვაჭაძე მ.. ავტ: მჭედლიშვილი გ.
26. ინდივიდის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში (მონოგრაფია); ჯიქია მარიამ; თბილისი 2011წ.
27. ადამიანის უფლებები; თავისუფლების ინსტიტუტი; ავტ: მალხაზ ნარინდოშვილი; რედ: გიორგი მელაძე; თბილისი 2005 წელი.
28. Grenoble: Université Pierre-Mendès-France. Archived from the original on 2012-03-28. Retrieved 2010-10-13;
29. Aaron Kirschenbaum, Double Jeopardy and Entrapment in Jewish Law, 3 Israel Yearbook on Human Rights, Rts. 202 (1973), p. 211.
30. Imam Nawawi. 1977. An-Nawawi's Forty Hadith (Second Edition English Translation by Ezzedin Ibrahim). Damascus: Holy Koran Pub. House, Hadith No. 33;
31. Sahih Muslim (English Version), Book 32, Hadith 6214;
32. Imam ibn Hajar's Bulugh al-Maram (English Version), Book 10, Hadith 1260.
33. "Law in the Middle Ages". The Finer Times. Retrieved January 16, 2018;
34. Friedman, Lawrence M., American Law: An Introduction (New York: W.W. Norton & Company, 1984), pg. 70;

35. William Wirt Howe, *Studies in the Civil Law, and its Relation to the Law of England and America* (Boston: Little, Brown, and Company, 1896), pg. 51.
36. Mueller, Christopher B.; Laird C. Kirkpatrick (2009). *Evidence*; 4th ed. Aspen (Wolters Kluwer). ISBN 978-0-7355-7968-2. pp. 133–34;
37. Moore, Christopher (1997). *The Law Society of Upper Canada and Ontario's lawyers, 1797–1997*. University of Toronto Press. ISBN 0-8020-4127-2;
38. Rembar, Charles (1980). *The Law of the Land*. New York: Simon & Schuster.
39. *Words and Phrases* 1914, p. 1168;
40. *Innocent Until Proven Guilty: The Origins of a Legal Maxim* Kenneth Pennington A Ennio Cortese (3 Volumes. Roma: Il Cigno Galileo Galilei Edizioni, 2001).
41. *Introduction to the Laws of Kurdistan, Iraq Working Paper Series Constitutional Law of Iraq* Pub. 2013 Iraq Legal Education Initiative (ILEI) American University of Iraq, Sulaimani Stanford Law School Kirkuk Main Road Crown Quadrangle Raparin 559 Nathan Abbott Way Sulaimani, Iraq Stanford, CA 94305 p. - 30

#### 4. ინტერნეტ რესურსი

1. [https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf);
2. <https://constitutionus.com/> The Constitution of the United States The Bill of Rights & All Amendments
3. <https://OPSI.gov.uk/> Retrieved 2010-10-13;
4. <https://legislation.gov.uk/> Retrieved 2011-04-27
5. <https://law.stanford.edu/wp-content/uploads/2018/04/ILEI-Constitutional-Law-2013.pdf/>